



La Géorgie

Indépendante

Revue mensuelle

FEVRIER

1928—№ 26

თებერვალი.

1928 წ.

№ 26

# საქართველო

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ს პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი პ ა რ ტ ი ე მ ი ს ო რ გ ა ნ ო .

მ ი ნ ა ა რ ს ი :

მეტაურო—სომხები და ჩვენ.  
უპასუხისმგებლო ნაბიჯი.  
გიდრვი ვვასვა—კავკასია-კავკასიელებს.  
*კიდობარო—ქართველი ემიგრაცია და საერთო ფრ.*  
მ. აპონეჯიძე—ორასი წლის წინეთ.  
X—რუსეთში (გამარჯვება თუ დამარცხება).

უცხოეთის მიმოხილვა.  
რას სწერენ ბოლშევიკებზე.  
უცხოელები საქართველოს შესახებ.  
ინჟ. სვიმონიშვილი.  
უკრაინა.  
ტფილისის უნივერსიტეტის დღესასწაული.

ს ო მ ხ მ ი ო დ ა ჩ ვ ე ნ .

სომხეთის ყოფილ ელჩის, თფილისში, ბ. ჯამალიანის გამოლაშქრება კერენსკის «დნი»-ში ჩვენს წინააღმდეგ იძულებულს გვცდის ამ თემაზე შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება. გარნა იგი უამისოთაც ზედმიწევნით საყურადღებოა და მტკინვეულიც, და, თუ მაინც არ ვეხებოდით მას, ეს იმიტომ, რომ ერთსა და იმავე მწაზე ხვედრის ქვეშ, ჩვენ თითქოს მოწოდებული ვიყავით მთელის არსებით მოგვეგერებია საერთო მტერი, ხოლო შინაური უთანხმოება მეგობრულათ და მეზობლურათ ამოგვეწურა, ამისათვის ხელსაყრელ დროს.

ჩვენ თითქოს კიდევ ჩვეუარეთ მკვიდრი საძირკველი ასეთ მეგობრულ-მეზობლურ უთანხმებას, როცა 10 ივნისს 1921 წ., ე. ი. ჩვენი უბედურების მეორე დღესვე, ხელი ზოგაწერეთ. კავკასიის ოთხი ერის სახელით, ერთს დოკუმენტს, ოფიციალურათ გადაცემულს ყველა სახელმწიფოებზე, რომლის ძალით საზღვრების დაეა ჩვენს შორის გადაეცემა სავალდებულო არბიტრაჟს. უფრო გონიერი და პრაქტიკული საშუალება თითქოს არც კი არსებობს! რამდენს არ სწერენ, რამდენს არ ქადაგებენ ჩვენს დროში მეცნიერნი და პოლიტიკოსნი სწორეთ ამ მეთოდის სასარგებლოთ ყოველგვარ საერთაშორისო დავის გადასაჭრელათ და მაინც ვერას გამხდარან! თვით ერთა ლიგაც ხომ დიდ ქაპანწყევტაშია, რომ არბიტრაჟი საყოველთაო-სავალდებულო გახადოს ომისა და ზავის კითხვაში.

გამოდის, ბ. ჯამალიანი უკმაყოფილოა ხსენებული დოკუმენტით, მას იგი ფარატინა ქალაქდად წარმოუდგენია, ან კიდევ სრულიად არ-არსებულად, თორემ აბა რა საკადრისია საზღვრების დაეავე სწერო და ეს უმნიშვნელოვანესი გარემოება სულაც კი არ ახსენო! ბ. ჯამალიანი სწორეთ ასე იქცევა. მეტსაც

ვიტყვი. იმ დროს, როცა რუსის სოციალისტები და არასოციალისტები, ცოტა გამოკლებით, თავს გვესხმინან ქართველებს მარტო იმიტომ, რომ საყოველთაოთ მიღებულ პრინციპიდან ლოლიკური დასკვნა გამოგვყავს და ვიცავთ დღევანდელ უმსგავსო ს. ს. რ. კ-ში ძალათ ჩამწყვედულ არარუს ერთა თავისუფლებას, მაშასადამე, სომხებისაც.—ბ. ჯამალიანს სხვა საქმე ვერ უშოვია, გარდა იმისა, რომ უკნიდან თავს დაგვეცეს!

რაშია საქმე? რას გამოუყვანია ბ. ჯამალიანი წონასწორობიდან? ნ. ყორდანის წიგნაკს: «ჩვენი უთანხმოებანი». მერმე რაა აქ მისთვის მიუღებელი? არაფერი! პირიქით, ბ. ჯამალიანი თვითონ ამბობს, რომ იზიარებს წიგნაკში გატარებულ აზრებს, მხოლოდ მას დასაშვებად მიუჩნევია, რომ სწორეთ ეს გარემოება გამოყენებია ავტორზე შესატევათ სულ სხვა კითხვის გამო. თქვენ იცავთ ერთა თვითგამორკვევის უფლებას—ეუბნება ბ-ნ ჯამალიანი ნ. ყორდანის—, მაგრამ ხართ თუ არა მზათ ეს პრინციპი გაავრცელოთ «სომხის ორ მხარაზე», ბორჩალოზე და ჯავახეთზეო.

ჩვენ არ ვიცით, და ბ. ჯამალიანიც არ ამბობს, როდის გამხდარას ეს მხარეი «სომხის ორ მხარად»; თქვენ ნუ მოვლით მისგან იმის ახსნასაც, რა პირობებში მოხდა სომხების ჩასახლება ჯავახეთში, ან კიდევ, როდის შეადგენდა იგივე სომხობა უმრავლესობას ბორჩალოში. მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, და ბ. ჯამალიანმა, შეიძლება, კიდევ უკეთ, ქართველ მაჰმადიანების ნამდვილი ტრადიცია ძველი რუსეთის მფლობელობის დროს. მთელი ეს ხალხი თითქმის უკლებლათ ცარიზმის სატრაპებმა—მათ შორის ერთი წარჩინებული სომხებიც კი ვერია—აყარეს და ოსმალეთში გადაარქვეს, ხოლო მათი მიწა-წყალი იმავე



ოსმალეთიდან ლტოლვილ სომხებს დაურიგეს. აი, საიდან შესდგა სომხების უმრავლესობა ჯავახეთში, ანუ ბორჩალოში დღესაც ხომ უმცირესობას შეადგენენ ისინი.

საქართველო ძველდინანვე ერთგვარ თავშესაფარად იყო მიჩნეული დევნილ სომხის ერის მიერ, რომელმაც კიდევ მე-11 საუკუნეში დაპყრობა დამოუკიდებლობა და, მაშასადამე, მოკლებული იყო საშუალებას საკუთარს ძალ-ღონით გამკლავებოდა მტერს. ამით აიხსნება ის გარემოებაც, რომ ასე დიდია, შედარებით, სომხის მოსახლეობა ჩვენს სამშობლოში. ისიც ყველას თვალწინ გვიდგას, რომ სომხები უხსოვარ დროიდან სარგებლობდნენ თანასწორობით უფლება-მოვალეობის მხრივ, იცოდნენ ენა, ერთნი იყვნენ ჩვენთან ადამიანთ, ზნე-ჩვეულებით... მაგრამ დადგა მე-20 საუკუნე და მათი მეთაურნი ჩვენს ტრადიციულ სტუმართმოყვარეობას იმ გვარათ გვიფასებენ, რომ მასპინძლები კარში უნდა გაბრძანდნენ და სტუმრები კი კერას დაეპატრონონ!

ჭეშმარიტად ძველი საქებნია სამართალი ასეთ ჯურის ხალხთან, მაგრამ ერთი რამის ცოდნა მინც მოეთხოვებათ მათ—ეს ის, რომ თვითგამორკვევის უფლება ენიჭება ერს და არა მის ჩამონატებს, ნაწილებს. ძველათ თუ მოპოვება ევროპაში ისეთი სახელმწიფო, რომლის საზღვარზედ სხვა ერის მოსახლეობა არ იმყოფებოდა, მაგრამ ამისთვის არ მიმართვენ უთუთო ხსენებულ პრინციპს. რას იტყოდნენ სომხები, კიდევ ომის წინ, ამ პრინციპის მიხედვით რომ გადაწყვიტათ კითხვა ოსმალეთის იმ ვილაეტებშიც, რომელსაც ისინი თავისთვის მოითხოვდნენ და მათი ძმები კი მცხოვრებთა სულ უმნიშვნელო უმცირესობას შეადგენდნენ იქ? ეტყობა, ისინიც იმოწმებდნენ ისტორიას! მაგრამ ბორჩალო და ჯავახეთი საქართველოს ორგანიული ნაწილია არა მარტო ისტორიულ-გეოგრაფიულათ, არამედ პოლიტიკურ-ეკონომიურათაც. აბა ვაგანეთ, მაგ., ბორჩალოს სომხებს, რომ კავშირი უნდა გასწყვიტოს თფილისთან და მის მაგიერ გუმბრს შეუერთდეს! ეს იქნებოდა მთელი მისი მეურნეობის დამხობა. სხვა არაფერი.

ესლა ვიკითხოთ, რა დარჩათ თვით ამ ბორჩალოდან ქართველებს? ვის ხელშია, მაგ., ალავერდი? იქნება ესეც სომხების მამაპაპეულია! ამ რიგათ, წითელმა მოსკოვმა, როგორც წინეთ შავმა პეტერბურგმა, უცვლათ გასცა საქართველოს ტერიტორია. არ დარჩენილა მეზობელი, რომ წილი არ რგებოდა. ჩვენ ვვაგონდება ბაგრატიონების სახელმწიფო ღერებზედ წარწერილი დავითნის სიტყვები: «განიყვეს სამოსელი ჩემი მათ შორის და კვართსა ჩემსა ზედა განიგდეს წილი». და ეს სება იმ დროს, როცა თვით ჩვენი არამზადა-კომუნისტები გაიძახიან, რომ 300.000 ქართველს სახანა-სათესი არ გაჩნათ!

ჩვენ გვესმის სომხის ერის საშინელი თავგადასავალი დიდი ომის დროს და მის შემდეგ, გულწრფელათ თანაუგრძობთ მას და არც მივცემთ ჩვენს თავს ნებას უუკიჟინოთ მის მეთაურთ ნებით თუ უნებლიეთ ჩადენილი შეცდომები. მაგრამ ეს არ უნდა გვართმევდეს უფლებას აღვნიშნოთ ერთი თანდაყოლილი ზნე, რომელიც მათ დასჩემებიათ ჩვენს მიმართ, ჯერ

კიდევ თავისუფლების პირველ გარიჟრაჟის უმაღლესანამ ოსმალე მოიწვედა, მათი დედეგატები მუქარით მოითხოვდნენ ბრესტილიტოვსკის საზღვრების ცნობას, ხოლო როცა, ამ ცნობის თანახმათ, ოსმალე ყარსში შევიდა, სომხის მეთაურნი ქართველებს სწამებდნენ «გამცემლობას!» როცა დამოუკიდებლობის გამოცხადების უმაღ ქართველები იძულებული შეიქნენ მოლაპარაკება გაემართათ გერმანელებთან. სომხის მეთაურნი ქვეყნიერებას აყრუებდნენ ქართველების «დალატზე» და იმავე დროს მათი ორი დედეგატი ქართველებს გვერდში უდგენ სწორეთ ამ მოლაპარაკებაში! მაგრამ იყო ერთი დედეგატიც, გაცილებით ადრე მივლენილი იმავე გერმანელებთან, და იცით ვინ? დღევანდელი ჩვენი გამკილველი ბ. ჯამალიანი! თქვენ გახსოვთ ინგლისის ჯარების პირველი ფრაზა თფილისის ქუჩებში: «ჯორჯია ფინიმ!» (საქართველო გათავდა).—ეს გახლდათ, დიდ ნაწილათ, სომხების აგიტაციის ნაყოფი ჩვენს წინააღმდეგ, უცხოეთში.

ჩვენ არ გვინდა სხვა მაგალითებიც მოვიყვანოთ. არ შევჩერდებით სომხის ვაჟარ-მრეწველთა რაღზე უცხოეთში, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ დალალობა გაუწიონ მოსკოვის მტარვალებს კავკასიის სიმდიდრეთა უცხოელთა ხელში გადასასვლელათ; არც იმაზე, რომ საქართველოს როგორც ეკონომიურ, ისე ჩეკის ორგანოებში სომხები სჭარბობდნენ...

ჩვენთვის სრულიად გაუგებარია სომხის ზოგიერთ მეთაურთ ტაქტიკა, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ მეზობლის ქვეყა-კილეა უცხოელთა წინაშე მათ დღესაც საკუთარი საქმის გამარჯვებად მიიჩნიათ! ბ. ჯამალიანი, ერთის მხრით, გვეუბნება, რომ ქართველებს და სომხებს ორი ათას წელიწადზე მეტი ხმალი არ მოუღერებიათ ერთმანეთისთვისო, ხოლო, მეორეს მხრით, ერევა კამათში ჩვენსა და რუსებ შორის, აშკარათ უკანასკნელთა პოზიციის გასამაგებლათ!

ბ. ჯამალიანი ომსაც კი ასენებს ქართველ-სომხებ შორის, დეკემბერს 1918 წ., და გონიერათ სდუმს, ვინ დაიწყო იგი! ჩვენ ვახსენებთ მეორე ომსაც რუსეთთან სომხეთის გზით, და ამას იმ მიზნით, რომ აღვნიშნოთ ერთი ნათელი მხარე ამ ბნელი საქმისა. მაშინ როდესაც სომხის ბევრი პატრიოტი ჩვენზე მოსულ რუსის ჯარში ერია, მათ ზურგს უკან სტიქიურათ აჯანყდა სომხის ხალხი და ლამობდა კიდევ ჩვენთან შეერთებას იმავე რუსის უღლის გადასაგდებათ! ეს იყო უდიდესი ისტორიული ფაქტი და მას ვერ დაივიწყებს ქართველი ერი; ამ ფაქტმა მას დაავიწყა, უნდა დაავიწყოს, ყველა ის დიდი და პატარა წყენანი, რომელნიც მას განუცდია ან კიდევ განიცდის სომხის მეთაურებისაგან, და ისიც უმეტესათ თფილისელებისისაგან.

მაგრამ სომხის ერის გმირული გამოსვლა, თებერვალს 1921 წ., გადამწყვეტი გაკვეთილია იმავე დროს მის მეთაურებისათვის: მასიურმა ინსტიტუტმა სძლია მათ სპეკულაციას გარეშე ძალებზე, გულმა გული იცნო და ორივე ძმა-ერმა ხელი ხელს მისცა უკეთეს მომავლის გამოსაწყდათ.



როცა ჩვენ ვკითხულობთ იმავე «დნი»-ში სისხლით დაწერილ «გოდებას საბჭოთა სომხეთიდან» და იქვე ვხვდებით ისეთ ადგილებს, როგორცაა: «გლახობა მზათა პირველ დაძახებაზე წამოიჭრას შელახულ უფლებების აღსადგენათ, მასში თავისუფალ მამულის იდეალი უფრო პოპულიარულია დღეს, ვინემ დამოუკიდებლობის დროს...»—ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ უცხოეთში მომუშავე სომხის მოღვაწენი ალღოს აულებენ ამ გოდებას და ამ მისწრაფებას. საზღვრებზე «გოდება» ამ დროს, განა მოკვეთილ თავის თმაზე ტირილს არ წაავას?

დავა მეზობლებ შორის არ ახალია, ძველია. განა

უპასუხისმგებელი ნაბიჯი.

ჩვენს წინა დევს 21 გვერდიანი წიგნაკი სათაურით: «დეკლარაცია და დადგენილებანი», გამოცემული «საქართველოს გაერთიანებულ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის» ფირმით. წიგნაკს ნიშანში ჰყავს ამოღებული ჩვენი მთავრობა და მის ირგვლივ შემოკრებილი პოლიტიკური პარტიები, აქედან მთლიანი ეროვნული ფრონტიც, რა თქმა უნდა.

მაგრამ ყველაზე საინტერესო მანც ის არის, რომ წიგნაკი «ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის» სახელით ებრძვის ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას! უკანასკნელი, როგორც ვიცით, ეროვნულ ფრონტში შემოდის და ლოიალურათ ასრულებს შინ და გარეთ თანამებრძოლის მოვალეობას. მაშროგორ მოხდა, რომ ის ასე დაუზოგველი წყებლავს თავის თავს? სულ უბრალოთ. მის მაგიერ შეყრილან რამდენიმე პირი და თავი «ეროვ.-დემ. მთელი საზღვარგარეთელ ორგანიზაციად» გამოუცხადებიათ! ამას ისინი არც მალვენ, რადგან თვითონვე აღიარებენ: «დახურვის წინ კრებამ დაადგინა სთხოვოს პარტიის კომიტეტს შემდეგ სხდომაზე მოსვლა», მაგრამ «წინანდებურათ არც ერთი წევრი პარტიის კომიტეტისა არ გამოცხადდოა» (გვ. 4). პარტიის კომიტეტი სწორეთ ის ორგანოა, რომელიც წარმოადგენს გაერთ. ეროვ.-დემ. პარტიას უცხოეთში. აქვს მჭიდრო კავშირი მთავრობასთან და სხვა ჩვენი პარტიების თავისავე წარმომადგენლებთან. ცხადია, ამ რიგათ, რომ ჩვენ საქმე გვაქვს უპასუხისმგებლო-ანონიმებთან, რომელთა კადნიერება იქამდის მისულა, რომ აშკარა სიყალბესაც არ დარიდებიათ.

სადაა სათავე ამ სიყალბისა? მასზე მივვითითებთ თვით წიგნაკი, როცა ბრალდებას უყენებს პარტიის კომიტეტს, «მთავარ კომიტეტის თავმჯდომარე ბ. სპ. კედია» პარტიიდან გამოირიცხაო; ხლო ბ. სპ. კედია მომხსენებელი ყოფილა «მთელი საზღვარგარეთელ ორგანიზაციის!» (გვ. 4 და 20). მკითხველმაცის ჩვენი გაზეთის დეკემბრის ნომრიდან, თუ რისთვის გარიცხეს ბ. სპ. კედია პარტიიდან, აი რა ეწერა იქ: ბ. სპ. კედია «პირდაპირ უარპყოფს ერ.-დემ. პარტიის ძირითად პრინციპებს, მის ტაქტიკას და განუწყვეტლივ ებრძვის კანონიერ მთავრობის ირგვლივ ყველა პარტიათა შეთანხმებით შემდგარ ეროვნულ ფრონტის მთლიანობას».

ცოტაა თუ გინდ ამ დალოცვილ ვეროპაში ერები, რომელნიც ვერ მორიგებულან საზღვრების გამო, და აბა დასახელებს, რამდენია მათ შორის ისეთები, ვინც თანახმაა დავა სავალდებულო არბიტრაჟს გადასცეს? უემმარტათ, კავკასიის ერებს, ვისაც ამ კულტურულ მეთოდზედ უწერიათ ხელი, არ შერცხვებათ არც ბურჟუელ და არც სოციალისტურ ეროპის წინაშე. და სწორეთ ამიტომ ქართველები, ისე როგორც სომხები, აზერბეიჯანლები, მთიელები ხელი ხელს გაყრილნი უნდა იბრძოდნენ, შინ და გარეთ; როგორც საკუთარ, ისე საერთო კერის—კავკასიის—განსათავისუფლებლათ.

ბრალდება, როგორც ხედავთ, მეტათ მძიმეა, და სწორეთ ამიტომ მით უფრო დაუზოგველი უნდა გამოსულიყო შურისძიებაც! იმდენათ დაუზოგველი, რომ «დეკლარაციისა და დადგენილებათა» ავტორს ვერ დაუფარავს ვერც თავისი ვინაობა—სტილიდან ამკარაა—, ვერც პირადული მოტივი გამოლაშქრებისა, ვერ არჩევს საბრძოლველ საშუალებასაც, ერთი სიტყვით, დაუკარგავს საზომი რაიმეს დანახვისა ან გავებისა. და რალა გასაკვირია, თუ ორი მისი «დამქვრალი თანამგზავრიც»: ალ. ასათიანი და იოს. ხანანაშვილი, პირველი—თავმჯდომარე, ხლო მეორე—მდივანი «მთელი საზღვარგარეთელ ორგანიზაციისა», «მნათობზე» მეტ წინდახედულებას ვერ იჩენენ.

აი, ეს ტრიო იძიებს, მამასადამე, შურს თავის პარტიანზე და ესხმის წრეგადასულათ თავზე იმ პარტიებსაც, ვინც პირველთან ერთათ შებმულან, ავერ შვიდი წელიწადია, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში სამშობლოს განსათავისუფლებლათ.

მთელი ტყვია-წამლის ცხრა მეთაიდი დახარჯულია, რა თქმა უნდა, საქართველოს სოციალდემოკრატიანზე, რომელსაც ტრიო ზიზლით «მენშევიკებს» უწოდებს. რა ცოდვები, რა დანაშაულნი არ ჩაუდენიათ მათ ქვეყნისა და ისტორიის წინაშე! სანიშნით ერთი ადგილი: «ქართველი ერის მიერ დაწყებული და მიმდინარე ეროვნული ბრძოლა უნდა დასსნილ იქნეს მენშევიზმ-სოციალიზმისაგან, რომელიც მას თან მესაჭეობს და თან კიდევ ებრძვის სამშობლოს იდეას, ქსაქსავს და ერთმანეთს ახლის ერის მთლიანი ორგანიზმის სხვადასხვა ნაწილს» (გვ. 5).

როგორც ხედავთ, აქ ნაგულისხმევია სხვა სოციალისტური პარტიებიც. მეორე ადგილი ამას აშკარათ ამბობს: «ამ მიზნის მისაღწევად... ყველა არასოციალისტური ძალები და ორგანიზაციები ერთი დროშისა და ხელმძღვანელობის ქვეშ» უნდა გავეერთიანოთ (გვ. 13).

ამრიგათ, ჩვენ ვიღებთ შემდეგ ჯამს: ტრიომ სასწორიდან გადაავდო ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, სოციალდემოკრატია, ეს-ფერები, ეს-ერები. ვინ დარჩა? ჩვენ თითქოს ოთხი პარტია გავგანდა! უკაცრავათ, გამოგვრჩა მესხეთე—კომუნისტური პარტია, და აი, ვის ამოდგომია გვერდში ტრიო და ვის-

თან ერთად ებრძვის იმავე კილოთი, სწირათ იმავე სიტყვებით ყველა დანარჩენ პარტიებს და მათ გაერთიანებულ ფრონტს. ეს გამოაქვს მას «ეროვნულ ბრძოლის ნაციონალიზაციად» (გვ. 5). როგორ მოგწონთ ეგ სიტყვა—ნაციონალიზაცია?!

ტრიოს დავიწყებია პოლიტიკურ ბრძოლის ერთი უბრალო კანონი: «ვინც ჩვენთან არ არის, ის მტერთან არის». არის ერის ცხოვრებაში ისეთი მომენტები, როცა ეს კანონი განსაკუთრებით მჭრელია. სწორეთ ასეთ სულისკვეთებას განიცდის დღეს ჩვენი ერი და ამიტომ არის ის ასე მტკიცეთ და განუყრელათ შემოკრებილი მის ნაცად პოლიტიკურ პარტიების

ირგვლივ, «ყორდანიას მთავრობის» მეთაურობით. აი, ვის უცხადებს ტრიო ომს!

ჩვენ გავეცანით მხოლოდ ტრიოს გარეგნულ ფიზიონომიას, დანარჩენი ხომ კომუნისტებისგან უკეთ ვიცით, და ესენია სწორეთ, ვინც «საშინელ» ბრალდებებს გვიყენებს «ლალატზე, აჯანყებაზე, საერთო ფრონტზე, ინტერნაციონალზე» და ვინ იცის კიდევ რაზე! უმჯობესია, ჩვენის აზრით, ისევ დედანთან გრქონიოთ საქმე, ვინემ მის ანარეკლოთ; განვანგრძოთ შეუპოვარი ბრძოლა პირველთან, ხოლო მეორის მოგონებაზე... სიცილი შევიკავოთ. თავზიანობა რანდის პირველი მცნება.

კ ა ვ კ ა ხ ი ა - კ ა ვ კ ა ხ ი ე ლ ე ბ ს .

«ამერიკა-ამერიკელებს»,—ასეთი იყო დედააზრი იმ ცნობილი მოწოდებისა, რომლითაც მიჰმართა პრეზიდენტ მონროემ, 1823 წელს, ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატების კონგრესს, და ეს პრინციპი გახდა ამ დღიდან ურყევი საფუძველი ამერიკის პოლიტიკისა ევროპის და ყველა უცხო ქვეყნების მიმართ. ეს პრინციპი ეხლაც ცოცხალია, ეხლაც იჩენს თავის ძალას, იჭრება სწირად საერთაშორისო პოლიტიკაში და შეაქვს თავის შესწორება. დროთა ბრუნვამ ის ვერ გამოცვალა და ეჭვი არ არის, გამარჯვებაც მას დარჩება კაცობრიობის მომავალ განვითარებაში.

რაშია მისი ძალა?

ეს ძალა იმ სიმართლეშია, რომელიც ჩამოსხმულია ამ ორ სიტყვაში. 1823 წელს უკვე მიიღო თავის სახე და უფლებრივი ჩამოსხმულობა ვენის კონგრესმა. დასრულდა ნაპოლეონის პერიოდი, მიწელდა შუქი საფრანგეთის დიდი რევოლუციის და ომით მოქანცულს ევროპას გადაეფარა შავი ფრთები რუსეთის ორთავიანი არწივისა. გამეფდა რეაქცია. «სამღმრთო კავშირის» დამაარსებელი და სულის ჩამდგმელი იყო რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე პირველი, ის ალექსანდრე, რომელმაც ვერაგულად დაამხო საქართველო და თავის ლაშქარით შეუდგა მისი ეროვნულ ცხოვრების განადგურებას. საქართველო იბრძოდა, ხან აქ, ხან იქ იფეთქებდა აჯანყება, მაგრამ რუსეთი განაგრძობდა თავის დაპყრობითს პოლიტიკას და ალყას არტყამდა მთელს კავკასიას. ევროპა ჩუმად იყო, ან ვინ ამოიღებდა მაშინ ხმას ამ თავაშვებულ იმპერიალიზმის წინააღმდეგ, როცა უმაღლესი მიზანი თვით «სამღმრთო კავშირისა» იყო განმტკიცება აბსოლიუტიზმის და განწმენდა ქვეყნიერების ყოველ განმათავისუფლებელ იდეისაგან. დაპყრობითმა პოლიტიკამ ევროპაშიდაც აღძრა დიდი მადა. ბევრი სახელმწიფო ეძებდა ცხრა ზღვას იქით კოლონიებს, სიხარბით შეყურებდა ამერიკის მიდინარ და «უპატრონო» ქვეყნებს, და დიდ ენერგიას იჩენდა ამ საერთო ტაციობაში. რუსეთიც კი გადაცოცდა კამჩატკიდან ალიასკაში. აი ამ დროს ქვეყნიერების მეორე ჰემისფორიდან გაისმა თავისუფალი ხმა თავისუფალი ერისა. ხმა იყო ძლიერი და ჩამაფიქრებელი. «შეჩერდით, ამბობდა იგი, უნდა მოე-

დოს ბოლო ამ საერთაშორისო ტაციობას. ამერიკა ეკუთვნის ამერიკელებს და ვინც ამას არ იზიარებს. იმას ჩემთან ექნება საქმეო!» ამ ბრძანებითმა კილომ გამოაფხიზლა ბევრი და საძირკველი ჩაუყარა ამერიკის ხალხთა თავისუფალ განვითარებას.

როგორც ხედავთ, ლოზუნგი არის წმინდათ უფლებრივი. ტაციობა და ძალადობა არ არის უფლება. ის უარისყოფაა უფლებისა. ამიტომ ტაციობას და ძალადობას არსად არ უნდა ქონდეს ადგილი, არც კარძო ცხოვრებაში, არც საერთაშორისო განწყობილებაში. სამწუხაროდ ამ უბრალო იდეის გასატარებლად არ კმარა მხოლოდ სიტყვა და ქადაგება, სწირად მუშტია საჭირო, უფრო სწირად ზარბაზანი. ეს ადვილი იყო ამერიკისათვის, უფრო ძნელია სხვა ქვეყნებისათვის, თუმცა ყველგან, სადაც უფლება შელახულია, ტრიალებს იგივე იდეა—იდეა სამართლისა და თავისუფლებისა.

გადავიდეთ ევროპაში. «იტალია-იტალიელებს»—იყო იგივე ხელმძღვანელი პრინციპი სამოციან წლებში იტალიის მამულიშვილებისათვის. ამ ნახევარ-კუნძულზე დიდ-ხანს ებრძოდა ერთმანეთს ორი დაპყრობითი პოლიტიკა—საფრანგეთის და ავსტრო-უნგრეთისა. ბოლოს გარიბალდის ხმალმა, მაძინის კალამმა და კავურის პოლიტიკამ მიიღწია მიზანს და ევროპის იმპერიალისტური ბურჟუიდან გამოვიდა თავისუფალი, გაერთიანებული და გამარჯვებული იტალია.

უფრო საინტერესოა ბალკანეთის ბედი. აქაც გაისმა ლოზუნგი «ბალკანეთი-ბალკანელებს», მაგრამ აქ ნიადავი უფრო რთული იყო: აქ მოგროვილი იყო სხვადასხვა ერი—რუმინელი, ბოლგარელი, სერბიელი, ბერძენი—და მათი მოქმედების გაერთიანება ერთი ლოზუნგის ქვეშ არ იყო ისე ადვილი, როგორც იტალიაში. აქ ყოველ ერს ქონდა თავის წარსული, ენა, კულტურა და ეროვნული იდეალები. მათი გაერთიანება ძნელი იყო, მაგრამ ბოლოს, საერთაშორისო ძალების კონფლიქტების გამო, ყველამ მიიღწია განთავისუფლებას. აქ იმპერიალისტური პოლიტიკა მიდიოდა ორი ხაზით—რუსეთით და ავსტრო-უნგრეთით. პირველი აწყობდა ინტრიგებს უფრო სერბიაში ავსტრო-უნგრეთის წინააღმდეგ, მეორე—



ბულგარიაში რუსეთის წინააღმდეგ. ესლა ეს ორივე იმპერიალიზმი დამარცხდა: ავსტრო-უნგრეთი დაიშალა, რუსეთი დაშლის გზაზეა. ბალკანეთს ეძლევა მეტი შესაძლებლობა წინააღმდეგობა გაუწიოს უცხოეთიდან შემოჭრილ დაპყრობითს ძალებს. საკითხი კონფედერაციის ჯერ შორს არის, მაგრამ ეჭვი არ არის, ბალკანეთის ერებს ესლა უფრო ადვილად შეუძლიათ დაუახლოვონ ერთმანეთს თავის შეხედულებანი, გამოიმუშაონ საერთო ხაზი საერთაშორისო პოლიტიკისა, დაანახონ ყველას, რომ ბალკანეთი მართლა ბალკანელებისა და არა სკირიით სხვისი არც ბატონობა, არც პატრონობა.

კავკასია ბევრ რამეში წააგავს ბალკანეთს. აქაც ბევრია სხვადასხვა ერი თავის წარსულით, ენით, კულტურით და ეროვნული იდეალებით, მაგრამ ყველას აერთებს ერთი გარემოება—რუსეთის იმპერიალიზმი. ეს იმპერიალიზმი დაემხრო რევოლუციის დროს, და ყველა კავკასიის ერებმა იგრძნეს თავისუფლება და მოაწყვეს თავიანთი დამოუკიდებელი სახელმწიფო. მაგრამ ამ იმპერიალიზმა კვლავ წამოყო თავი რუსეთის ბოლშევიზმის სახით და კვლავ დაამხრო კავკასიის თავისუფალი ერები. აშკარაა, რუსეთის ესლანდელი ბატონობა და მომავალში საშიშროება ახალი თავდასხმისა, ეს ისეთი დიდი და მნიშვნელოვანი ფაქტორია კავკასიის პოლიტიკურ ევოლუციაში, რომ ის ყოველ ერს ჩააფიქრებს და ამ სიფათის თავიდან ასაცილებლად გამოაღებინებს საჭირო მსხვერპლს. მართლა, ყველასათვის ერთი საკითხი დგას: თავის-დაცვა. უნდა უზრუნველყოფილ იყოს კავკასიის ჩრდილოეთის ხაზი და თუმცა ეს ხაზი გვერდით არ უვლის არც საქართველოს, არც აზერბეი-

ჯანს, არც სომხეთს მაგრამ ყველამ ამ ხაზის დაცვაში უნდა მიიღოს თანაბარი მონაწილეობა. აი აქ არის საფუძველი მომავალი კონფედერაციისა.

გავიდა ის დრო, როცა იმპერატორი ალექსანდრე პირველი, «სალმრთო კავშირის» ლოცვა-კურთხევით, იპყრობდა ქვეყნებს და მისი ლაშქარი ფეხით თელავდა საქართველოს უფლებას, ხელშეკრულებას და მის ეროვნულ ღირსებას. ამ ბნელი ხანის შემდეგ ევროპამ გამოიარა ბევრი რევოლუცია, ბევრი ომი, გარდაიქმნა არა მარტო მისი რუკა, გარდაიქმნა მისი სულიერი განწყობილებაც და ჩვენ დღესა გვაქვს არა «სალმრთო კავშირი», არამედ «ერთა ლიგა» და ჰააგის საერთაშორისო სასამართლო. მართალია, რუსეთში ჯერ კიდევ ჰფარფაშობენ ბოლშევიკები, მაგრამ თვით ბოლშევიზმი არის უარისყოფა ყოველი უფლებისა და ამით საქართველოს საკითხი, როგორც საკითხი მთელი კავკასიისა, მოსჩანს უფრო ნათელი და უდაო. ბოლშევიკებმა თვით გამოირიცხეს თავი განათლებულ კაცობრიობიდან და მათი დაპყრობითი პოლიტიკა მით უფრო სამარცხვინოა და მიუღებელი. მათი აღსასრული შორს არ არის. აი ამ მომენტისთვის უნდა მზად იყვნენ კავკასიის ერები. შეთანხმებული მუშაობა და ამოძრავება კავკასიის ყველა ეროვნული ძალებისა, აი რა არის ესლა საჭირო, რომ სამუდამოდ ჩავუმტვრიოთ ფრთები რუსეთის იმპერიალიზმს და დავიბრუნოთ დაკარგული თავისუფლება. ჩვენ დარწმუნებული ვართ, იტალიის და ბალკანეთის შემდეგ დგება ჯერი კავკასიისა და აქაც სავსებით გაიმარჯვებს ცნობილი ლოზუნგი მონროესი, გადმოსროლილი მეორე ჰემისფეროდან:

«კავკასია—კავკასიელებს!»  
გიორგი გვახავა.

ქართველი კომუნისტები და საერთო ფრენტი.

როცა მზე ამოდის და თავისს ცელქ სხივებს შორიდან გვესერის. მაშინ მე საქართველო მაგონდება, უცხოეთში გადმოხვეწილს!.. მაგონდება მისი მშობლური სალამი, ლამაზი სახე, თავგანწირული გმირული ბრძოლა!.. და განა მხოლოდ ახლა კენეს დატყვევებული ჩვენი ქვეყანა? განა საუკუნეები არ გადალახა მან ბრძოლით და ტანჯვით, ხან გამარჯვებით, ლხენის სიმღერით. ხან კი დაცემით—გლოვის ძახილით, ისევ აღდგომით, წინ გაქანებით?..

და როცა გერმანელ ერთ მეცნიერს შემთხვევა ჰქონდა ლექციის დროს მსმენელებისთვის ეთქვა: ერთი ერთი, რაც აღმოსავლეთით ჩვენი შემოდის—არის მხოლოდ ამომავალი მზის სხივებიო,—ალბათ მას ტენიკის განვითარებაზე ჰქონდა მსჯელობა,—თორემ საქართველოს, ჩვენი მზის სხივებს ის განსაკუთრებით მოისხენებდა!..

ვისაც თვალი აქვს ხედვით და ყური სმენათ, დაინახავს და გაიგებს, რომ საქართველო ამომავალი მზის ის ქვეყანა არის, რომელიც საუკუნეთა დიად სრბოლაში—სისხლით იცავდა საკაცობრიო დიად იდეალს—ბუნებისგან ერისადმი მინიჭებულ უფლებებს და თავისუფლებას... და, დღესაც, ეს ბედი

რგებია წილად, მარადი ბრძოლა თავდაცვისათვის. საქართველო ხიშტებით დაიპყრეს და მის გულზე უხეშ ჩექმებით დათარეშობენ! დაჩხვლიტეს ქართველი კაცის გული, სახე და სხეული!.. ფეხებზე წითელი ბორკილები, ხელებზე წითელი ხუნდები და ენაზე წითელი კლიტე დაადვეს,—უბრძანეს: იარე იმ გზით და მანძილით, რა გზითაც ჩვენ დავდივართ—დამპყრობელები, იფიქრე, სწერე და იწამე ისე, როგორც ჩვენ ვფიქრობთ—დამპყრობელები!—და მაშინ ავაცლით ამ წითელ ბორკილებს, ხუნდებს და კლიტეებსო!..

გაყინულ ქვეყნიდან შემოჭრილი წითელი დესპოტები დაეპატრონენ ჩვენი შრომით შექმნილ და ჩვენი სისხლით დაცულ ჩვენს სიმდიდრეს, ქონებას!..

მოსპეს ჩვენი უფლება—ქართული, გაამეფეს უცხო, —კომუნისტური.

რა მოგვიტანეს?  
განადგურება ქონებრივი, გონებრივი! დახშობა ეროვნული განვითარების!

ქართველი ერის დამოუკიდებელი კულტურა დაამახინჯეს, ანუ სრულიათ მოსპეს!..  
შეიპყრენ სკოლებში!



აღზრდა ეროვნული კი არა,—კომუნისტური!..  
ლაპარაკი ქართული, ფიქრი რუსული—კომუნის-  
ტური!

ქართველი ბავშვები—რუსული კომუნისმის თუ-  
თიყუშები!

ქართული სკოლა—მათი გალიები!..

ქართული წიგნი—მხოლოდ ქართული ანბანები,  
შინაარსი, აზრი, მასალა უმთავრესათ კომუნის-  
ტური!

—სურათი: ქართული სახის, სულის და სხეულის  
დამახინჯება!..

ზაპსი!.. დიდი საქმე!.. გაპკვიან წითელი დამ-  
პყრობელები!.. ზაპსი!.. ჩვენი ლამპარი!—უგალობენ  
მას დატყვევებული ქართველი პოეტები—შიშისაგან  
ფრთებ დაყრილი ჩვენი მწერლები—რკინის გალიაში  
ჩაკეტილები!.. ვინ ამბობს, რომ ზაპსი თავის თავათ  
კარგი არ იყოს!—მაგრამ ეს ხომ სინათლეა დატყვე-  
ვებული საქართველოს დიდ-ციხის კედლებში, ტუ-  
საღებისთვის—თვალყური ადევნონ, რომ ციხის კე-  
დლებს ხელი არ ახლონ!..

გააღეთ, ბატონებო, საქართველოს დიდი ციხის  
კარები,—მოვითხოვ ჩვენ,—გაგვშორდით,—ოღონდ  
გაგვშორდით და თან წაიღეთ თქვენი ზაპსი!.. ჩვენ  
თვითონ ავაგებთ თავისუფლათ ჩვენს ზაპსს, თვი-  
თონ გავიყვანთ ჩვენს გზებს, ჩვენს არსებს, შემოვი-  
ტანთ ჩვენს გუთნებს, ჩვენს ტრაქტორებს!.. ავაგებთ  
და მოვრთავთ ჩვენს სკოლებს, ვისწავლით და გავა-  
კეთებთ მას, რაც ესაჭიროება ჩვენს ხალხს, ჩვენს  
თავისუფალს განვითარებას!

გაგვშორდით,—ოღონდ გაგვშორდით!.. ძალით  
შემოჭრილო წითელი უცხოელებო!..

ასეთია ბედი და ვანცდა ქართველი ხალხის დღეს  
და ქართველი ემიგრაციის!

სანამ არსებობს მოძალადეთა თარეში ჩვენში,  
არსებობს ქართველი ხალხის განუწყვეტელი ბრძო-  
ლაც მათ წინააღმდეგ.

იბრძვის ქართველი ემიგრაცია უცხოეთში თა-  
ვისუფალი სიტყვით, პრესით, კრებებით, საერთო  
თავისუფალი მოქმედებით ააშკარავებს მტრის ვე-  
ლურ სახეს კაცობრიობის დასანახავათ!

ერთათ ერთი ასპარეზი მტრის წინააღმდეგ თა-  
ვისუფალი ბრძოლის და მოქმედების ხდება უცხოე-  
თი—უცხოეთის ქართველი ემიგრაცია!

ქართველ ხალხთან ერთათ დაპყრობილია ფი-  
ზიკურათ ყველა პოლიტიკური პარტია საქართვე-  
ლოში!

გაჩნდა საერთო ასპარეზი მტრის წინააღმდეგ!..  
გაჩნდა და არსებობს ქართველი ხალხის ერთათ ერ-  
თი პარტია—საქართველოს აღდგენის პარტია—სა-  
ერთო ფრონტი!

ამ პარტიაში—ამ საერთო ფრონტში—თავს იყ-  
რიან ქართველ ხალხთან ერთათ ემიგრანტები და  
ბრძოლას განაგრძობენ ერის ბრძანებით!

ჩვენს შორის კავშირი განუწყვეტელია, მუდმივი!  
მიზანი ნათელი და აუცილებელი! ბრძოლის სა-  
შვალეობა—ჩვენი რწმენა და იმედი!..

საქართველო უნდა აღდგეს! მტერი განიდევნოს!  
მოითხოვს ქართველი ერი და ჩვენც უნდა მივსდით

მას, ჩვენი გულის ამ მუდმივ ძახილს, მშობლის სი-  
ყვარულს, მის თავისუფლებას!..

ჩვენ გვაქვს საერთო ფრონტი და გვყავს ეროვნული  
მთავრობა ქართველი ხალხის მიერ საყოველ-  
თაოთ არჩეული, მტრის უხეში ძალისაგან უცხოეთ-  
ში გამომხიზნული! ქართველი ერის სურვილით, მო-  
თხოვნით ჩვენ თავს ვიყრით ამ მთავრობის ირგვლივ  
საერთო ფრონტზე და ბრძოლას განვაგრძობთ მტრის  
წინააღმდეგ. არსებობს ორი ბანაკი—მტრის და ჩვენ-  
ნი! მტრის ბანაკში თავს იყრიან, ცხადია, ჩვენი დამ-  
პყრობელები—ეგ წითელ-კანიანი რუსები და მათთან  
ერთათ ჩვენგან გადაბარებული ყოფილი ქართველე-  
ბი. გადასულეები—ბრძოლის პროცესში—ცხადია,  
დიდათ ხელს უწყობენ მტრის ბანაკს ჩვენს წინააღმ-  
დეგ!—მით უმეტეს საგრძნობი ხდება ეს უცხოეთში  
—ემიგრაციისათვის. ჩვენ აქ ვიბრძვით ლეგალუ-  
რათ, თავისუფლათ, იქ კი საქართველოში—დატყვე-  
ვებული ქართველობა იბრძვის ცუდ პირობებში,  
არალეგალურათ!..

ჩვენი ბრძოლა არი წმინდა და სამართლიანი,  
უანგარო, თავდადებული, კაცობრიობამ გაიგო ეს  
და დაჰგმო წითელრუსების საშინელი ვერაგობა ჩვენ-  
დამი!..

ჩვენი დამოკიდებულება მტერთან ხდება მარა-  
დის დაუნდობელი!

ბრძოლა მოითხოვს მარად სიფხიზლეს, სისწო-  
რიმტკიცეს, აქტივობას, უამისოთ ვერ გავიმარჯ-  
ვებთ!.. ეს უნდა ვიცოდეთ ჩვენ—ეს კარგათ ესმის  
თვით ჩვენს მტერს!..

არიან უცხოეთში ზოგიერთები (უმნიშვნელოა მათი  
რიცხვი), რომლებიც დგებიან საერთო ფრონტის გა-  
რეშე და დამოუკიდებლათ საქმიანობენ!.. რა ნებათ  
განიდან მებრძოლთ?—ჩვენც საქართველოსათვის ვი-  
ბრძვიითო—ამბობენ ესენი! მაგრამ ნუ თუ ბრძოლა  
საქართველოსთვის საერთო ფრონტში არ შეიძლება  
და უკეთესი არ არის?.. ვთქვათ, დღევანდელ ჩვენს  
საერთო ბრძოლის ფრონტს და მასთან მთავრობას  
აქ, ამ ჩვენს არა ნორმალურ, მძიმე პირობებში, რაიმე  
ნაკლი აქვს, ან ჰქონდა მას ეს ნაკლი, მარა განა დღეს  
გვაქვს ჩვენ უფლება ანუ დრო კერძოთ ამისთვის თა-  
ვი ვიმტვრიოთ და საზოგადო, უფრო დიდი კი დავი-  
ვიწყოთ? განა უფრო საზრიანი და საქმიანი არ იქნე-  
ბოდა, ანგარიშები მომქმედ პირებისაგან მაშინ მი-  
ვევლო, როცა სამშობლოს და ქართველ ერს თავისუ-  
ფალს ვიხილავდით?..

ქვემარტი ქართველი დღეს საერთო ფრონტს  
ვერ განშორდება და თუ შორდება და თავისს საკუ-  
თარ ფრონტებს ჰქმნის, ის საერო საქმის წინაშე და-  
ნაშაულს ჩაიდენს. საერთო ბრძოლის ფრონტის ხე-  
ლმძღვანელები ქართველი ხალხის წარმომადგენლე-  
ბისგან შესდგებიან, მათთან მომუშავე ჩვენი მთა-  
ვრობაც ხალხის მიერ არჩეულია—აი ჩვენი ბრძოლის  
საერთო ორგანო, რის ირგვლივ ყველა თავს უნდა  
ვიყრიდეთ ცეცხლში გავხეული ჩვენი ქვეყნის გადა-  
სარჩენათ!.. საერთო გზაზე მუშაობა—საერთო გამარ-  
ჯვებამდე მიგვიყვანს!..

როცა მზე ამოდის და თავისს ცელქ სხივებს უც-  
ხოეთში შორიდან მესვრის, მაშინ მე საქართველო



მომავლენა თავისი დიდი წარსულით. ბრწყინვალე დღეებით და მზის დაბნელებითაც! მაგონდება, როგორც დღეს, ჩვენს წარსულში მოსეული მოძალადენი, მაშინდელი ქართველი ხალხი მოდენილ არაბ-მონგოლ-სპარს-თურქების წინააღმდეგ მებრძოლი!.. მუდმივი ჩვენი ბრძოლა და გამარჯვებანი!

დაე, გაწყდეს ხსენება ქართულ-მონღოლის, ხსენება მარადის კლდეზე მიჯაჭვული ამირანის!

გაწყდეს ხსენება ჩრდილოელ რუს-ყაჩაღების—მათი ნამგლების და ჩაქუჩების, რომელიც თან მოათრეის ხიშტებზე წამოცმული,—ხიშტები გულს მიუშვირეს და ქართველი ხალხი დაჩხვლიტეს!..

ფეხ-ქვეშ გათელილი თავისუფლების აღდგენა და ქართული ჰიმნის თავისუფალი სიმღერა სამფეროვანი დროშის ქვეშ—თეთრი რაშის წინ გაქანებით—აი ქართველი ხალხის და ქართველი ემიგრაციის განუწყვეტელი ფიქრი და ნატურა!..

ძნელია ეს გზა—ეს ბრძოლა დღეს!.. ბრძოლა დიდი და განუსაზღვრელი!.. ცხადია, ბევრს სიცოცხლეს შეიწირავს, ის ნორჩს და მოხუცსაც, მაგრამ ტკბილია ჩვენთვის ტანჯვა სამშობლოს აღდგენისათვის, სამშობლოს თავისუფალ ამოსუნთქვისთვის!

უფლოლო.

მ რ ა ხ ი წ ლ ი ხ წ ი ნ ე თ .

1723 წელს ტფილისი ოსმალებმა აიღეს, ქართლში უსაძაგლესი იესე მეფე გააბატონეს და ვახტანგ მეექვსე აიძულეს 1724 წელს რუსეთში წასულიყო. ამ ემიგრაციაში ქართველი სჯულმდებელი მარტო არ წასულა. თან ახლდა ათას ორასი კაცი, ზოგის თქმით—ათას ოთხასიც! ამაში ერთი თითონ მეფის ოჯახი—საკმაოდ მრავალრიცხოვანი, თავადი და აზნაური—აგრეთვე ოჯახებით, ეპისკოპოსნი და მღვდელნი და აუარებელი შინა ყმა, რომელთაც იმისი წარმოდგენა კი ჰქონდათ, რომ გადაკარგულ ქვეყანაში თავის ბატონებს მოსავლელად მისდევდნენ, მაგრამ რად მიდიოდნენ თითონ ბატონები—არავითარი! ქართლში ერთი კეთილშობილი გვარიც არ დარჩენილა, რომელსაც ამ ემიგრაციაში წარმომადგენელი არა ჰყოლიდა. ზოგიდგან ათი კაცი იყო, ზოგიდგან ხუთი—ეს ერთგულების ნიშნად ითვდებოდა. ყველანი თავისი ტიტულებით, თანამდებობით და «სარგოთი». ერთი ისეთი ტიტულიც, რომელიც საქართველოში არავის გაუგონია—«დიდი მთავარი» ფალავანდიქ! არც ის ითქმის, თითქმის ეს ემიგრაცია მარტო ქართლელებისაგან შესდგებოდა. ვახტანგმა თან წაიყვანა იმერეთის მეფის ასული ნინო-მონოზანი, გურიელის ძე, რომელიც ტფილისში იზრდებოდა მეფის კარზედ და თორმეტი კახელი დარბაისელი, რა თქმა უნდა უპირველესი გვარებიდგან. ვინაიდან მეფემ იმერეთ-რაჭაზედ გადაირა, «ერთგულობის» გამოამჩენელნი აქაც გამოჩნდნენ. მოკლედ «მეფედ-მეფეს» როგორც უძახდნენ თავის თავს ქართლის მეფენი, მთელი «ქართველი ერთობილი» მისდევდა, ძველის ტერმინით რომა ვსთქვამთ!

ეს პატივცემული საზოგადოება ასტრახანში დიდხანს გააჩერეს. მორიდებულადი მაშინვე მიხვდნენ, რომ ყველას მიღება პეტერბურგში არც ისე ხალისით უნდოდათ. ასტრახანიდან ჯერ მარტო ვახტანგი გაიწვიეს. თვით დედოფალიც კი ასტრახანში დასტოვეს. ვახტანგი ცარიცინში მივიდა და ზედაც ერთი უსიამოვნო ამბავი გაიგო—პეტრე დიდის გარდაცვალება! ამიტომ პეტერბურგში ჩასულ ვახტანგს თავისი «მეგობრის» მაგიერ მხოლოდ მისი ქვრივი შეხვდა. ვახტანგმა პეტრეს სიკვდილი მიუტორა, პეტრეს ქვრივმა «ქართლის ბედი» და თანაც დაასკვნეს, რომ დანარჩენი ჭირვეული ხალხიც აქ ჩამოეყვანათ.

ქართველობა, როგორც იქნა, მოსკოვში ჩალაგდა და პირველი დღეების ალერსსა და დაპირებებს საზღვარი არა ჰქონდა. მაგრამ ალერსისა და დაპირებების დღეებიც მალე გავიდნენ და თითქმის მასპინძლებს იმისი თქმა სურდათ—თქვენ აქედგან წამსვლელები აღარა ხართო—უწინარეს ყოვლისა, სტუმრებს სასაფლაო მიუჩინეს—დონის მონასტერი, მოსკოვში. დანარჩენი და მთავარი შემდეგ უნდა ყოფილიყო.

დაიწყო უფერული ემიგრანტული ცხოვრება. მეფე და მისი ქართველი მინისტრები პოლიტიკას შეუდგნენ და თანამდებობებს არიგებდნენ. დავით გურამიშვილმა აქ მიიღო ჯაბადარობა. მამუკა ბარათაშვილს, ამასაც ჩინებულ მგოსანს, მეფის ხმალი აქ უნდა ეტარებინა. მწიგნობრებმა სტამბას მიჰყვეს ხელი. ახალგაზდობა ჯარში შევიდა. შედეგიც ურიგო არ იყო. ყველაზედ ნაკლებ პოლიტიკამ ივარგა. სამაგიეროდ მწერლობა ჩინებული გამოდგა და ახალგაზდობაც თქვენი მოწონებული იბრძოდა რუსის ჯარში. ამ წრიდან შემდეგში ბევრი კარგი «რუსის» გენერალი გამოვიდა. მათი სამხედრო ნიჭის პირველი დღეების სანიმუშოდ ისიცა კმარა, რასაც დავით გურამიშვილი მოგვითხრობს—როგორ სწყვიტეს თავში კეტი პრუსიის კოროლს! ეს «პრუსიის კოროლი» ფრიდრიხ დიდი იყო და არც ეს «ვსწყვიტეთ» არის ურიგოდ ნათქვამი, ერთი გარემოება რომ ხელს არ უშლიდეს. ამ წყვეტით ფრიდრიხ დიდს ცხვირში ძმარი არ წასდენია, მაგრამ თითონ გურამიშვილი მთელი თავისი დღენი სჩიოდა მერე ამ ემიგრანტობასაც, საქართველოს დაკარგვასაც!

ეს ამბავი გქვლია და ნურავინ იფიქრებს ყველაფერი დროზედ გათავდაო. გადიოდნენ დღეები. გადიოდნენ წლები, ამასობაში მთელმა საუკუნემ განვლო. რუსეთმა ვახტანგი, 1733 წელს, ჯარით სპარსეთისაკენ გაგზავნა, მაგრამ როგორც უწინაც «პოზოდო» არ შესდგა. ვახტანგი გზაში მოკვდა. პრეტენდენტათ მისი შვილი ბაქარი გამოცხადდა.

ქართლში ამ დროს ოსმალეთის ხსენებაც აღარ იყო. გამუსულმანებული იესეს ნაცვლად იქ მეფობდა ნამდვილი ქართველი მეფე და სიძე ვახტანგისა, თეიმურაზ მეორე—კახეთის ბაგრატიონი. მაგრამ თეიმურაზი უცბად არ მოსულა ქართლში და არც ვახტანგს გაუტანებია ქართლი თავისი ქალისთვის მზი-

თევში, რის მოჩვენებასაც მაშინ სცდილობდნენ. კახეთის ბაგრატიონებმა მოხერხებულად ისარგებლეს ერთის მხრივ ნადირ-შაჰს მეგობრობით, მეორეს მხრივ ვახტანგის ქართლიდან წასვლით და ქართლის ბატონობა დაიმკვიდრეს. თეიმურაზის ტახტზედ ასვლა და მცხეთაში დაგვირგვინება უდიდესი ეროვნული დღესასწაული იყო. მთელ რიგ მუსულმან მეფეთა შემდეგ ქართლის ტახტზედ—ასეთი იყო თვით ვახტანგიც—თეიმურაზი პირველი ქრისტიანი გვირგვინოსანი იყო. პაპუნა ორბელიანი ამ დიდ ამბავს აღფრთოვანებით აგვიწერს და ეს ფურცლები მისი ისტორიისა «ქართლის ცხოვრების» საუკეთესო ფურცლებს გვაგონებს.

მაგრამ ვახტანგს მომხრეები მაინც დარჩა ქართლში და ასე არ უცქეროდნენ ისინი ამ ამბავს. ამ მომხრეებისგან სახელოვანმა გივი ამილახორმა, ზემო ქართლის თავადების ცნობილი ლეივა შეჰქმნა, დიდხანს იგერიებდა როგორც ნადირ შაჰის იერიშებს. ისე, მით უმეტეს, თეიმურაზის პრეტენზიებს და მხოლოდ თავისი მეფის ასულის და თეიმურაზის მეუღლის—თამარის წინ დაიხია. საქმე დაწავებით ვათავდა, რა სთქვეს კიდევ ამ ქართლელმა ქალმა და ქართლელმა კაცმა სურამში შეხვედრის დროს, როცა ამ დაწავებაზედ იყო ლაპარაკი, არავინ იცის. უნდა ვიფიქროთ, რომ ერთმა თავისი ქართლელი მამა გამოიტყობდა, მეორემ თავისი ქართლელი მეფე და რაღაცა საყურადღებო დაასკვნეს. გივი ამილახორმა ბრძოლაზედ ხელი აიღო და თეიმურაზს დამორჩილდა.

ეს მეტად მნიშვნელოვანი გარემოება ემიგრანტებს აინტერესიაც არ მოსდითათ და მოსკოვში საკუთარი მეფე ჰყავდა. მათ მიერ მოსკოვში დაბეჭდილ სურათებში, ბაქარი ყველგან «ქართლის მეფედ» იხსენება. ასე მოკვდა სურათის მეფედ მამასავით განათლებული და მწიგნობარი ბაქარი. პრეტენდენტათ მისი შვილი ალექსანდრე გახდა. ამ ალექსანდრეს ცოლად თავადის მენშიკოვის ქალი ჰყავდა და სამხედრო სამსახურში ითვლებოდა.

ამ დროს ქართლში, ან უკეთ, ქართლ-კახეთის გაერთიანებულ სახელმწიფოში, ირაკლი მეფობდა, თეიმურაზის შვილი და უმესანიშნავესი ქართველი მეფე! ირაკლი დიდ ქართულ პოლიტიკას მისდევდა. ნადირ შაჰს სიკვდილის შემდეგ, რომლის მეგობრობა ფართოდ გამოიყენა, ირაკლიმ უცბად შესწყვიტა ვასალური დამოკიდებულება სპარსეთთან, როცა კი ამისი შემთხვევა მიეცა. საჭიროა ამ შემთხვევის გახსენება, რომელიც ირაკლის პოლიტიკაში ლელოს შემოსატრიალებელი წუთი იყო. ნადირ-შაჰს მიმდევნო ქერიმ-ხანმა ირაკლის ძველი ადათის განახლება მოსთხოვა, რაც ყოველ წლიურად თორმეტი ჰაბუკის გზავნაში გამოიხატებოდა. ეს გარეგნულად ასე «მცირე» მოთხოვნილება, პოლიტიკურად მეტად ოსტატური ნაბიჯი იყო, რომლითაც სპარსეთს უნდოდა გავგო, სურდა საქართველოს ისევ სპარსეთის გავლენის ფარგალში დარჩენა, თუ სხვა რამე. ირაკლიმ მოკლედ შეუთვალა ქერიმს—«სამი დღით ადრე ვარ ეშმაკზედ დაბადებულიო» და ქართლ-კახეთი მრავალის ხნით ჩამოაცალა სპარსეთს. ამ დღიდან ირაკლი მართლა დამოუკიდებელი მეფე შეიქნა.

უფრო საყურადღებო იყო ირაკლის შინაური პოლიტიკა. ქართლის დაბრუნება ვახტანგის მემკვიდრეებისათვის გასაგონადაც არ უნდოდა. ირაკლის ისეთი სწორი და ნათელი შეხედულება ჰქონდა თავის დანიშნულებაზედ, საქართველოს გაერთიანება ისეთი წარმტაცი და ობიექტიურად გამოკვეთილი ეროვნული დოქტრინა იყო მისთვის, რომ თავისი მშობელი მამაც არ დაწოგა და რაკი თეიმურაზის ქართლის ტახტზედ დარჩენა ქართლ-კახეთის გაერთიანებას აგვიანებდა, სხვადასხვა საბაბით მამა ქართლიდან რუსეთში გაიტყუა და თავი ქართლ-კახეთის მეფედ გამოაცხადა. სამაგიეროდ თითოე ქართლელებისათვის არაფერი შურდა და ყველანაირად სცდილობდა მათს გაერთოვლებას. თავისი ასული პირველის ცოლისაგან დიმიტრი ორბელიანს მიათხოვა. დადიანის ასულის ძარეჯანის ხელში ნაყოლი ქალებიც ქართლელებზედ დაათხოვა. უმფროსი—მარიამი ციციშვილს მისცა. მუხრან-ბატონების სახლთან დამყვრებას უფრო დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა—ამ სახლიდანაც ჩამომავლობდა ვახტანგ მეექვსეც და თავისი ასული ქეთევანი ივანე მუხრან-ბატონს მიათხოვა. რძლებდაც ქართლელი ქალები მოიყვანა. უპირველესი თანამდებობანი ქართლელებს დაურიგა, თავის ტიტულში ჩასწერა «მეფე ქართლისა და კახეთისა...» და თავის კახელებს სრული საბუთი მისცა. ვფიქრობ, რომ «პატარა კახს ქართლი უფრო უყვარდა. მაგრამ ირაკლის თითონ უფრო მეტი ქართული საბუთი ჰქონდა ასე მოქცეულიყო. ბევრი რამ იზიდავდა მის გულს ქართლისაკენ. ისტორიული პირველობაც, რომელიც მუდამ ჰქონდა მას და სტრატეგიული მნიშვნელობაც, ჭეშმარიტი დიდკაცობა მისი ფეოდალებისა და ის სული წმინდა ქართული რასისა, რომელიც იქ ტრიალებდა. მას სურდა დამარხულიყო დიდებულ სეციტსხოველში, მანამდე კი ამ ტფილისის სასახლის ბრწყინვალეობაში ეცხოვრა, რომლისადმი, ჭეშმარიტად, წმინდა მეფური მიდრეკილება ჰქონდა! განსაკუთრებული ლმობიერებით ეპყრობოდა იმ ემიგრანტებსაც, რომლებიც საქართველოში ბრუნდებოდნენ და გულწრფელად უცხადებდნენ ერთგულებას. მან გამოასწორა თავისი მამის შეცდომა და ანტონ კათალიკოსი—ყველაზედ უდიდებულესი ქართველი, აგერ, რამდენი საუკუნეა!—და ვახტანგის სახელის შვილი, რუსეთიდან დააბრუნა, რათა ამ უკანასკნელს თავისი დიდი შრომანი დაემთავრებინა.

ემიგრანტები ამასაც ცოტა ანგარიშს უწყევდნენ და მათის შთაგონებით ირაკლის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულება ხშირი იყო საქართველოში. ერთი ასეთი შეთქმულების მსხვერპლი შეიქნა, 1767 წ., მოხუცი და განათლებული პაატა ბატონიშვილი. პაატა ძე იყო ვახტანგისა და, ამ რიგად, ირაკლის დედის ძმა. ემიგრაციას ადრევე ჩამოშორდა რუსეთში, წავიდა ევროპაში, სწავლობდა სამხედრო საქმეს და დიდხანს სცხოვრობდა იქ. საქართველოში 1752 წელს დაბრუნდა. ირაკლიმ ნათესაურად მიიღო და დიდ პატივში ჰყავდა.

მეტად ბნელი ისტორია არის, მართლა იყო ჩამოყალიბებული შეთქმულებაში, თუ არა. მაგრამ ირაკ-



ლის რისხვას საზღვარი არა ჰქონდა, როცა შეთქმულობის ამბავი მოხსენდა. მეფემ შეთქმულთა დაპატიმრება ბრძანა და სასწრაფოდ დარბაზის ერი შეკყარა. სასახლის ჯურღმულებში და ქალაქის სხვა ადგილებშიც უკვე შეთქმულთა წამება ხდებოდა, როცა დიდ სამეფო ტანისამოსში გამოწყობილი, თითონ ამ დარბაზის ერთან გამოცხადდა. ირაკლი დიდი ოსტატი იყო შთამავგონებელი და დამტუქსავი სცენებისა, მოულოდნელად ამ გაცეცხული ხალხის წინ დაემხო და ხელები მალდა აღაპყრო. ქრუანტელის მომგვრელი ხმით, მან შესჩივლა თავის ქვეშევრდომებს, რომ მთელი სიცოცხლე საქართველოს გადაავდო და ქართლი ვერ გაიერთგულა. არასოდეს არ ენახათ ქართველებს ასე მათ წინ დაჩოქილი ირაკლი. მეფის საქციელმა ბევრის გული აღძრა. გაისმა ერთგულობის ხმები და ძახილი მოლაღატეთა განადგურებისა. მეფეც ამახ უცდიდა. როგორც ლომი ისე წამოიჭრა ზეზე და მრისხნედ შეუძახა, ყველას ჯვარსა და სახარებაზედ მიეღო ერთგულობის ფიცი. დაიბნენ არა მარტო მოშიშარნი—ორგულებზედ ლაპარაკიც მეტია—დაიბნენ ისინიც, ვისი პირადი მამაცობა ირაკლისათვისაც ეჭვს გარეშე იყო. ხალხი რომელიც ინდოეთის ლაშქრობაში დასდევდა მას, აზატის შემმუსრველნი, უშიშარნი და უებრონი, ნამუსისა და სახელის ხალხი, რომლებმაც საკუთარის მკლავებით შეკმენეს მისი სამხედრო დიდება—ისე ჰკოცნიდნენ ჯვარსა და სახარებას, როგორც ბავშვები ზიარების დროს! მეფემ ქედი არ მოიდრიკა და ერთსაც არ გაუღიმა, როცა ეს დამფრთხალი ხალხი ხელებსა და ჩოხის კალთას უკოცნიდა.

რაკი ეს სცენა ასე ჩაატარა, ირაკლიმ აღარც სასჯელის წინ დაიხია. შეთქმულებს ტფილისის რიყეზედ დააყრევინეს თავები. პაატას გარდა ამ უდიერის სასჯელის მსხვერპლნი შეიქნენ ციციშვილები, თაქთაქიშვილები, დიასამიძე, არ დახოცეს მაგრამ აწამეს ამილახვარნი და სვანი. ცოტაა რომ პაატა ირაკლის დედის ძმა იყო. განრიხებულმა მეფემ არაფრის წინ არ დაიხია და, ქართლის ერთგულების გამოხაცდელად, ჯალათებათ ქართლელი თავადები გამოიყვანა. ამ სისაძაღვს სასახლის აივნიდან გადასცქეროდა და თავისი ყურით ისმენდა იმ უშვერ ლანძღვას, რომელსაც სასიკვდილოდ განწირულნი მეფესა და მთელ მის ოჯახს უგზავნიდნენ. ზეიმი ირაკლის ყველანაირ გარემოებაში უყვარდა და ისინი, ვინც გუშინ ჯვარსა და სახარებაზედ ეფიცებოდნენ, ამ სეირზედაც აღისწრო. მაგრამ ეს სისხლიანი სეირი გუშინდელ დაფრთოვანებას ვეღარ იწვევდა და გაბედულებმა მეფეს პაატას პატიება სთხოვეს. მეფე დათანხმდა და შიკრიკიც იქნა გაგზავნილი, მაგრამ შიკრიკმა მხოლოდ მკვდარ პაატას მიუსწრო. ამბობენ, ამან ისეთი შთაბეჭდილება დასტოვა თითონ ირაკლიზედ, რომ თავის რეტი დასჩემდაო.

ასაღვაწდა ალექსანდრე ამილახორი, გივი ამილახორის ძმისწული, შეთქმულობაში ბრალდადებული და ისიც დაპატიმრებული, რალაცა მანქანებით, წამების ოთანადგან გამოიპარა და საშინლად დასახინრებული, როგორც იყო, რუსეთში ჩავიდა. ემიგრანტებმა სიხარულით მიიღეს. ირაკლის მსხვერპ-

ლი, მათის აზრით, კიდევ ერთი «საქვეყნო» საბუთი უნდა ყოფილიყო, მეფის უდიერობისა. ამილახორმა სავსებით გაამართლა მათი იმედები. მან გამოსცა ცნობილი «ისტორია გეორგიანსკაია», სანაც ისეთ ამბებზედ არის საუბარი, რომლებსაც გადაქარბება აღარ სურდა. სიძულვილის სუნი უდის ამ წიგნს და ეს გასაგებია, მაგრამ უფლება გვაქვს ვიკითხოთ, ვისთვის იყო ის დაწერილი რუსულად? ეს ემიგრაცია რუსეთიდგან კიდევ რალაცას ელოდა.

1771 წელს საქართველოში იყო გენერალი ტოტლებენი რუსის ჯარით, რათა ოსმალეთთან ომში ირაკლისათვის დახმარება გაეწია. ამავე დროს საქართველოში იყო ვინმე კნიაზი მოურავოვი, ეკატერინე მეორის კომისიონერი და ქართველი ემიგრანტი (თარხანმოურავი), ცოტაა რომ ირაკლსთან მოლაპარაკებაში კნიაზი მოურავოვი რუსეთის ინტერესებს იცავდა. ეს კიდევ დიდი რამ არ არის, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ მოურავოვი რუსის დიპლომატი იყო, ფიცითა და ქვეშევრდომულის წესით, რუსეთთან შეკრული. «რუსის დიპლომატი» სხვა საქმესაც აკეთებდა. გენერალი ტოტლებენი ირაკლის ასპინძიდგან გამოექცა და გეზი ტფილისისაკენ აიღო. რუსის გენერალი ანანურში გამაგრდა და რალაცა ამბებს ელოდა. მისი აგენტები ამ დროს შეთქმულობას ამზადებდნენ, რომელსაც მაშინ უნდა ეფეთქა, როცა ირაკლი ომში იქნებოდა ჩათრული და როგორც ტოტლებენისაგან განზრახ წინასწარ მიტოვებული—დამარცხებულიც. შეთქმულობის მიზანი იყო ირაკლის ჩამოგდება, სამეფოს გაუქმება და საქართველოს რუსეთთან შეერთება. კნიაზი მოურავოვი ამ შეთქმულობის გულმოდგინე ზედამხედველი იყო. მხოლოდ ირაკლის სამხედრო უნარის ბრალია, რომ ოსმალებზედ უტოტლებენით გაიმარჯვა, ტოტლებენმა განზრახვა ვერ შეასრულა და თითონ ტოტლებენიც საქართველოდგან განაძევა. მაგრამ ასეთ საქმეში ჩარევით ემიგრაციამ დაამტკიცა, რომ ქართული ნიადაგიდგან სამუდამოდ ჩავარდნილი იყო და ქართული პოლიტიკისა აღარაფერი გაეგებოდა.

1784 წელს ალექსანდრე ბაქარის ძე ჩრდილო კავკასიაში გაჩნდა და იქიდგან დაუწყო ქართლებს შეგულიანება. აქ ესპედიციაში ბატონიშვილს ალექსანდრე ამილახორიც თან ახლდა. ნუ თუ ემიგრანტების საქმე ისე წავიდა, რომ ალექსანდრე ქართლის საზღვარს უნდა მოსდგომოდა? მიზეზი სხვა იყო. ქართველი პრეტენდენტი იმპერატორის პეტრე მესამის პარტიაში ითვლებოდა. როცა 1766 წელს ეკატერინემ თავისი ქმარი მოახრობინა და მისი მომხრეები დაფანტა, გაძევებულ იქნა. სამხედრო პატივი აყრილი, «უგანათლებულესი თავადი ალექსანდრე ბაქარის ძე გრუზინსკიც»—ასეთი იყო უკვე ტიტული ქართლის პრეტენდენტისა! უკვე თვით ფაქტი ალექსანდრეს პეტერბურგიდან გაძევებისა მოასწავებს, რომ ქართლის პრეტენდენტებს რუსეთში აღარ ეფერებოდნენ. სხვა არის, თუ პეტრე მესამე გაიმარჯვებდა. ალბად ალექსანდრე ბაქარის ძის პეტრეს პარტიაში ყოფნას სწორედ ასეთი დაპირება ედო სარჩულად. მაგრამ პეტრე მესამე ცოცხალი აღარ იყო, ეკატერინემ კი, უკვე 1783 წელს დასდო ირაკლისთან

ტრაქტატი, რომლითაც ირაკლის სახლის უფლებანი ქართლ-კახეთის ტახტზედ სამუდამოდ იყო «უზრუნველყოფილი». ალექსანდრე ბაქარის ძეს რუსეთში საქმე აღარაფერი ჰქონდა და ძალაუფლებურად თვალი სპარსეთს მიაპყრო. ესლა ადვილად შეგვიძლიან წარმოვიდგინოთ, როგორი კამარა გააკეთა ამ ემიგრაციაში, როგორ მივიდა იგი, სპარსეთისაგან გამოქცეული, ისევე სპარსეთის მიჯნაზედ. ალექსანდრეს ინტრიგებს ირაკლი გულგრილად ვერ შეხვდებოდა და ამავე ტრაქტატზედ დაყრდნობილმა, რუსეთს ალექსანდრეს ჩრდილო კავკასიიდან გაყვანა მოსთხოვა. რუსეთმა ეს შეასრულა და ალექსანდრეს ნაბიჯები ამის შემდეგ უფერული და უშედეგო იყო.

ამის შემდეგ აღარც თვით ემიგრაციას გამოუჩენია სიცხველე. მისი საუკეთესო წარმომადგენელი დაიხრცნენ. აღარ იყვნენ არა მარტო ვახტანგი და ბაქარი, მათი კბილის ხალხიც, რომელიც მეფეს, ჯერ კიდევ, სპარსეთის დევნილობაში ახლდა. მათ რიცხვს ეკუთვნოდა, სხვათა შორის, საბა სულხან ორბელიანიც. «სიბრძნე-სიცრუის წიგნის» დიდი ავტორი, კაცი, რომელმაც ნახა ვერსალის სასახლის ბრწყინვალება, იტალიის ქალაქები და სტამბულის მინარეტები, ვინც «ქილილასა და დამანას» ლექსებს თეირანის შადრევანების «ლანღანდარობაზედ» სთარგმნიდა, ყველაზედ ადრე გამოეთხოვა ამ ემიგრაციას, ის მოკვდა მოსკოვში 1725 წელს. ვახუშტიც ჩამოშორდა მას და თავის შესანიშნავ გეოგრაფიას და ისტორიას სწერდა. ცხოვრება ემიგრაციაშიაც ცხოვრება არის და ადამიანები დაფაცურდნენ. ხაზინიდან მამულები გამოითხოვეს და სარმატის ველზედ განიბნენ. გურამიშვილი უკრაინაში მოჰყვა, ბარათანი—სიმბირსკში. შემდეგში ამ გვარმა საუკეთესო ქართველი ნუმიზმატი მოგვცა. ზოგმა ცოლი ითხოვა, ზოგმა ქალი გაათხოვა, რუს-ქართველთა მოძრაობა გაჩაღდა და ზედაც აუცილებელი გარუსება დაერთო.

ვინ წარმოიდგენს, რომ იმ დროის გამოჩენილი «რუსის» მსახიობი—სანდუნოვი «ქართულის კეთილშობილის გვარისა» იყო, როგორცა სწერია მის ბიოგრაფიაში. არა საქართველოზედ, არამედ რუსეთზედ ფიქრობდა ახალგაზდა კნიაზი იაშვილი, როცა პავლე პირველს ახრჩობდა. ამ რუსეთის გულისთვის ჩაატარა თავისი ელვარე მახვილი სახელოვანმა პეტრე ბაგრატიონმაც, ვეროპის ველზეზედ. რომელი გენერალი არ ოცნებობდა მაშინ სამეფო გვირგვინზედ. ვინ არ აიყოლია კორსიკელი «მეტიჩარას» ბედმა... და მხოლოდ ის იყო ერთი, მართლა მეფეთა ჩამომავალი და ნამდვილი ბაგრატიონი სამხედრო უნარისა, ვის ასეთ ფიქრებზედ ჩვენ არაფერი არ ვიცით. ეს რუსის გენერალი მარადის ქართული აქცენტით ისე მოკვდა, რომ არ იქნა და ნაპოლეონი ბოროდინს აქეთ არ გამოუშვა...

მაგრამ ამ სახელისა და დიდების ხალხის გარდა იყვნენ სხვანაირი ქართველებიც. სასიამოვნოა, რომ პატრიოტობდნენ და ძველ ოცნებაზედ ხელს არ იღებდნენ სწორედ ისინი, ვინც ვერც საქართველოში დაბრუნდნენ, ვერც რუსეთში მოეწყვნენ. მათი ლუკმა მწარე იყო.

«რუსეთს მოვედით, ყინვითა გულსა გვაჩნია წყლულები!»

სწერდა პოეტი დიმიტრი სააკაძე დიმიტრი ბაგრატიონს, ამასაც პოეტს. ეს ლექსი საუკეთესოდ გამოხატავს მათ ჭირ-ვარამს და იმის ერთ ტაეპს მთლიანად მოვიყვან:

«ფერხთაც არ შემრჩა, რალა ვქნა, თქვენი წყალობა ნალები, დავხედავ, შოვნა არ ძალმიძს, ცრემლით მევსება თვალები, ჩულიც არა მაქვს საწამთროდ, გულსა მედება ალები, ნახეთ, სოფელმან რა მიყო, პრესნას მწუნობენ ქალები!»

ეს ქალები საქართველოშიაც ბევრი დარჩათ მათ და, უნდა ვითქვოდნენ. «პრესნის ქალებზედ» უარესნი არც ესენი იქნებოდნენ. ვსთქვა, რომ ესენი არ დაიწუნებდნენ? მათ ლოდინში დაეღალათ ამ საცოდვეებს თვალები და გადაელიათ გულები, მაგრამ სააკაძე და მისი ბედის ამხანაგები სახლში არ ბრუნდებოდნენ. უცხო ხალხი და უცხო ბუნება მათ ქართულ ბუნებასაც თანდათან შეეპარა და, სხვა ადგილას, იგივე სააკაძე სწერდა იმავე ბაგრატიონს:

«თქვენი მოგვესმა, პატრონო, შექმნილ ხართ ფარმაზონია!»

ოღონდაც, მაღალი სტილის ლექსია! მარტო ერთი ეს «პატრონო» რათა ღირს! ამ ერთ სიტყვაში მთელი ქართული «მეფის კარის გარიგება» ნათქვამი. მაგრამ რა საყვედურია თანაც! რა ძახილია მამა-პაპური და კონსერვატორული საქართველოსი, ახალი საუკუნოების მიჯნაზედ! ეს საყვედური ამაღ არ იყო!

«ფარმაზონობა», (ფრანკ-მასსონობა) ვოლტერიანობა და სხვა საიმდროეო აზრები ქართულ ემიგრაციასაც საკმაოდ გაუჯდა გვერდებში და მათი ქართველობისაგან, მათი პირველ-დაწყებითი კეთილშობილი ემიგრანტული აზრებისაგან, მხოლოდ კახეთის ბაგრატიონებისადმი სიძულვილი დარჩა. ასე დაქვეითდა მათი ქართული სარბიელი და ვილა არ იღვწოდა მაზედ?! არა ღირს ყველას ხსენება. ბევრი რამ მათ მოქმედებაში დღეს ღალატით მოგვეჩვენებოდა და ბევრი მათგანი უგუნურად. ნამდვილად კი ყველანი რიგიანი ქართველები იყვნენ, მებრძოლი თანისი ქართული მეფისა, ქართული სამეფოსი და ქართული სამშობლოსი! უცნაურია, რომ სხვა საქართველო იმ ხანად მათთვის არ არსებობდა!

მაგრამ ერთ მათგანზედ სიტყვის გაგრძელება მეტი არ იქნება. ნამდვილი ნაშობი ამ აღშფოთებულის სულისა და შურის მაძიებელი ყველა იმ ტანჯვისათვის, რომელიც ამ ემიგრაციამ გამოიარა, ნამდვილი რისხვა, რომელიც მან წარმოშვა—კნიაზი პავლე ციციანოვი იყო. იმისი მამა, თავადი დიმიტრი ციციშვილი, ვახტანგის ემიგრაციის უგანათლებულის წევრი იყო და მონაწილე მოსკოვის ქართული სალიტერატურო წრისა. მამამ ჩაუნერგა შვილს, თუ შვილმა თავისით შეისუნთქა ის სიძულვილი, რომლითაც იყო გაყენებული ეს ემიგრაცია კახეთის ბაგრატიონებისადმი, მაგრამ ნამდვილი მუსრი უკანასკნე-



ლებს ამ კინაზმა პავლე ციციანოვმა გაავლო, როცა საქართველო რუსეთმა დაიპყრო და მთავარმართებლად ის დაინიშნა.

მხოლოდ ამ შეურიგებელი ემიგრანტული ტრადიციით შეიძლება ავსხნათ ის აღმაშფოთებელი და არა ქართული სისასტიკე, რომლითაც ციციანოვი ირაკლის სამეფო ოჯახს ეკვეთა და კახეთის ბაგრატიონნი სულ გააწყა ქართლ-კახეთში.

მისი სახით ემიგრაციამ თავისი ასწლოვანი საწადელი აღისრულა. ქართლი კახეთის ბაგრატიონებისაგან განთავისუფლდა. მაგრამ ქართლის ბაგრატიონები სახლში მაინც ვერ დაბრუნდნენ. დრო იდგა ისეთი, როცა ბაგრატიონები, საზოგადოთ, სულ უნდა წასულიყვნენ საქართველოდგან.

ვანტანგი გზაში მოკვდა და ასტრახანში მარხია.

თითქოს ბედის დასაცინად იქვე მარხია მისი სიძე თეიმურაზი. ბაქარმა, ვახუშტიმ და ამ ჭეშმარიტად მაღალი ქართული ოჯახის სხვა წევრებმა მოსკოვში ჩაჰყარეს თავისი ძელები. დანარჩენებისა გაბნეულია უზარ-მაზარ რუსეთში. და მხოლოდ ერთი თავადი პავლე ციციშვილია—ვსთქვათ ერთხელ იმისი სახელიც ქართულად!—რომელიც, თითქოს ყველას მაგივრად და როგორც შეშვენის ნამდვილ ქართულს, ტფილისის სიონში, ქართლის ამ შუაგულში მარხია. ქრისტიანული სიტყვები—ესე არს სამკვიდრებელი ჩემი, ამას დავემკვიდრე—იქნება კიდევაც უდგება მას, მაგრამ ეს სიტყვები არასოდეს პოლიტიკისათვის არა ყოფილან ნათქვამნი. ქართული პოლიტიკა აქ აშკარა წაგებაში იყო!

შ. ამიბეჯიძე.

რ უ ს ე თ შ ი.

(გამარჯვება თუ დამარცხება?)

დასრულდა პირველი აქტი ტრალი-კომედიისა საბჭოთა რუსეთის ზედაპირზე. სტალინმა დაამარცხა, დანაგრია და დაამცირა ოპოზიცია. ოპოზიციის ლიდერებმა გაიზიარეს ჩვეულებრივი «კონტრ-რევოლუციონერების» ბედი. პარტიიდან გაძევებულნი, ისინი გაბნეული არიან რუსეთ-ციმბირის სხვადასხვა კუთხეებში, ხოლო მისი უბრალო წევრები ასობით ჰყრიან ჩეკა-ციხეებში. ქვეყანა განცვიფრებაში მოიყვანა ზინოვიევი-კამენევის სულის სიმდაბლემ და სიმუხთლემ, არა ნაკლებ გააშტერა კულტურული კაცობრიობა სტალინის ურცხვმა ცინიზმმა. მის წმინდა აზიურმა ჟინმა დამარცხებელთა დამცირებისა და გათანსირებისა. მაგრამ ოპოზიციასთან ერთად ისტორიას ჩაბარდა კომუნისტურ პარტიის მთლიანობა, მისი ზნეობრივი და პოლიტიკური პრესტიჟის ნატამალი. პოლიტიკურ პარტიის მაგივრათ დარჩა ვეებერთელა ბიუროკრატიული მანქანა, «აპარატი», რომელსაც ამოძრავებს არა პოლიტიკური და სოციალური იდეალი, არა აზრი, არამედ ჩინოვნიკური ინტერესი, ადგილის და ძალაუფლების შერჩენის სურვილი, განსახიერებელი ერთს პიროვნებაში, გორელ დიქტატორში, რომელიც პოლიტიკური ინტრიგის და შანტაჟის საშუალებით მართავს აპარატს და ქვეყანას.

პირველი შეხედვით სტალინმა იოლათ მოიპოვა გამარჯვება: არც სისხლის ღვრა, არც სამოქალაქო ომი; საკმარისი დარჩა პარტიული ორინაზობა, ინტრიგა და «ჩაწყობა». მაგრამ ეს გამარჯვება განისაზღვრება კომპარტიის ფარგლებით. ვასცილდით მათ, ჩაიხედეთ საბჭოთა ვითარებაში, მის დღევანდელ ეკონომიურ და სოციალურ პირობებში და დარწმუნდებით, რამდენათ ფუჭი, უმნიშვნელო და უნიადგოა სტალინის ტრიუმფი. კომუნისტური ოპოზიცია ხომ საბჭოთა ცხოვრების შინაური უკულმართობის და წინააღმდეგობის ანარეკლია. უკანასკნელის მექანიკურათ განიავება არ ნიშნავს ამ უკულმართობის ძლევას, ამ წინააღმდეგობათა მორიგებას. რაში მდგომარეობს საბჭოთა წყობილების დაავადების

ძირითადი მიზეზი? ნეპმა რამდენიმედ აუშვა ქვეყნის ეკონომიური ძალები, მთავარი ფაქტორი რუსეთის ეკონომიურ ცხოვრებისა—გლეხის მეურნეობა. შეიქნა სარბიელი სოფლათ კერძო წარმოების, კაპიტალისტურ ძალთა ამუშავების. და ისინი ამუშავდნენ კიდევ ისეთი სისწრაფით და სიძლიერით, რომელსაც სრულიად არ მოელოდნენ ნეპის ავტორნი. ერთი მხრით სწრაფათ მატულობს გლეხობის საერთო შემოსავალი და კეთილდღეობა, მარა მეორეს მხრით კიდევ უფრო სწრაფათ, ეკონომიურ კანონის გარდაუვალი ლოდაკით, სწარმოებს დიფერენციაციის პროცესი გლეხობაში. აღორძინება ეტყობა მხოლოთ მომსხო გლეხურ მეურნეობას, წვრილი გლეხობა კი უკიდურეს სიღარიბეში ვარდება და იხვეწება—გამანთავისუფლეთ მიწისგან, რომლის დამუშავება არ შემოძლია ინვენტარის უქონლობის გამო, გადამიყვანეთ მუშის მდგომარეობაზე. კულაკის გამდიდრებასთან ერთად საოცრად მატულობს უმუშევრობა სოფლად და გალატაკებული წვრილი გლეხობა მოლოინებულ «კულაკის» გავლენის ქვეშ ვარდება. ასე გააბახა და გააკატრა ცხოვრებამ სოფლებების «სოციალისტური», «კომუნალური» პოლიტიკა სასოფლო მეურნეობაში. წელში გამართული სასოფლო მეურნეობა მოასწავებს შინაურ ბაზრის ზრდას. მსხვილი გლეხობის გამდიდრებასთან ერთად მატულობს მისი მოთხოვნილება ქალაქის ნაწარმოებზე. და აი აქ იჩენს თავს საბჭოთა ეკონომიურ ვითარების მთავარი უკულმართობა და შეუსაბამობა. კერძო წარმოების ნიადაგზე აღორძინებულ სასოფლო მეურნეობა ხვდება «სოციალიზაცია» ქმნილ ქალაქის წარმოებას და სასტიკათ ამარცხებს მას. ვითომდა «განსაზოგადოებრივებული», ნამდვილათ კი გაბიუროკრატებული მრეწველობა ვერ აკმაყოფილებს სოფლის გაზრდილ მოთხოვნილებას. მისი ნაწარმოები არც რაოდენობის, არც ხარისხის და არც ფასის მხრით არ უდგება სასოფლო მეურნეობის მოთხოვნილებას. უზომო ბაჟები, რომლის მფარველობით შეუძლია მხოლოდ იბოგინოს ბიუროკრატიულმა



ქალაქის წარმოება, კარს უხშობს უცხოეთის ნაწარმებს. გლენის მოთხოვნის მრეწველობის ნაწარმებზე ამნაირათ დაუკმაყოფილებელი, თუ ნახევრათ დაკმაყოფილებული რჩება. ქალაქი ვერ იძენს სოფლისაგან საქმაღ პურს, გლენი არ აძლევს პურს არც სახელმწიფოს, რომელიც გამოდის სასოფლო მეურნეობის ერთად ერთ გამსაღებლათ უცხოეთში. პური კი არის მთავარი ვალიუტა საბჭოებისთვის, რომლითაც მათ შეუძლიათ კაპიტალისტურ უცხოეთთან აუცილებელი აღებმიცემობა აწარმოონ. და ამგვარათ მრეწველობის «სოციალიზაცია» და ვაჭრობის მონაპოვია ხელფენს უბორკავს ქვეყნის ეკონომიურ განვითარებას, აფერხებს სასოფლო მეურნეობის წინსვლას, აჩანაკებს მრეწველობას, ანადგურებს საგარეო აღებ-მიცემობას.

ამ უკუღმართობის დაძლევის ბოლშევიკები ფიქრობენ არა მისი ძირითადი მიზნის მოსპობით, არა ეკონომიურ ძალების ახსნით ქალაქშიც და საგარეო აღებ-მიცემობაში, არამედ მოხდენილი პლანით, ხელოვნურად გამოგონებულ დონისძიებით. დამარცხებული ოპოზიციის დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ მთელი უბედურება ნების უზომო განვითარებაში: მისი რეცეპტია არსებითად რეაქციონური—ნების წინა ხანის, სამხედრო კომუნისმისაკენ დახვევა, რაიცა მოასწავებდა სასოფლო მეურნეობის ისევე დაგლახებას, როგორც დაგლახებულია მრეწველობა და რაიცა გამოიწვევდა გლენობის ისეთ წინააღმდეგობას, რომელიც ალბათ წაღვეკავდა მთელს რეჟიმს... «რეალისტურმა» პოზიციამ კი სტალინის მეთაურობით მოიგონა ე. წ. ინდუსტრიალიზაცია, ინდუსტრიის ხელოვნურათ აწევა არა იმ ბუნებრივი წესით, როგორც ეს ხდება ყველგან, არამედ ბიუროკრატიული წომებით. ინდუსტრიის წინ წასაწევათ საჭიროა უპირველესათ კაპიტალი. საბჭოთა წარმოებას ის არ გააჩნია. არც ვინმე ანდობს გარედან სესხის სახით. სტალინმა მის წყაროთ გამოაცხადა სახელმწიფო ბიუჯეტი და წარმოების ნაყოფიერების ხელოვნურათ აწევა, ე. ი. სახელმწიფო გადასახადი და შრომის უზომო ექსპლოატაცია. ამ წყაროებს შეუფარდეს ინდუსტრიალიზაციის პლანი მარა გავიდა აგერ ორი წელიწადი ინდუსტრიალიზაციის «გამოგონების» შემდეგ და გამოაშკარავდა, რომ პლანი არ გამართლდა, წარმოების მოთხოვნის ვერ გასწვდა, ხოლო რაც მიიღო მისგან მრეწველობამ, ისიც მოხმარებულ იქნა ბიუროკრატიულათ; წარმოების ხარჯები არამც თუ არ კლებულობს, მატულობს კიდევ, ე. ი. აწევა და სწევს ზემოთ ნაწარმოების ფასს. აღმოჩნდა აგრეთვე, რომ შრომის ნაყოფიერებაც შეიძლება ასწიო ხელოვნურათ, პოლიტიური წომების საშუალებით, მხოლოთ განსახდერულ დონემდე, რის შემდეგ იწყება მისი შეუჩერებელი დაცემა. საბჭოთა პლანი, «სოციალისტური» მეურნეობა კვლავ წარსდა ამ ზამთარში ეკონომიურ ცხოვრების გამოცდის წინაშე და კვლავ სასტიკათ დამარცხდა. ეს გამოცდა გახლავთ მიმდინარე «ხორბლის კამპანია». რუსეთის საგარეო აღებ-მიცემობა ხომ პურზეა დაყრდნობილი. წელს ხორბლის თავისუფალი მარაგი საბჭოთა სტატისტიკის მოწმობით ბლომათ ყოფილა დაგროვილი

გლენობაში. გლენის მეურნეობათა დაახლოვებით ერთს მესამედს (28 პროც.) ჰქონია 1926 წელს 400 მილიონი ფუთი, ხოლო 1927 წელს—900 მილიონი ფუთი «თავისუფალ», ე. ი. გასასყიდ ხორბლისა. და აი სოფელს შეეხინენ საბჭოთა აგენტები—ხორბლის შემსყიდველი. შეძლებულ გლენის ბელეოი ხორბლით გატენილია, მარა შემსყიდველი აპარატი იმის ნახევარსაც ვერ იძენს, რაც ნავარაუდევია იყო და საბჭოთა «პლანი» კიდევ ერთხელ სასირცხლოთ ჩაიჭრა. პრესამ ასტეხა ჩვეულებრივი განგაში, ამუშავდა ათასი აპარატი ცენტრში და პროვინციაში, მოახდინეს ჩეკის და თვით კომსომოლის მობილიზაცია კი, მარა ამათ: უნიანი გლენი პურს არ იძლევა, ხოლო ის დრო, როცა შესაძლებელი იყო მისთვის ძალით, პროდნალოგის სახით. პურის ართმევა, სამუდამოთ განქრა. «სოციალისტურ» რუსეთის ეკონომიურ წინსვლის მთავარ ბურჯს, კულაკს, მართალია ბევრს სტუქსავენ სიტყვით საბჭოთა პრესაში, მარა ეს ქალაქის უკმაყოფილო მუშის მოსატყუებლათ, ნამდვილათ კი მის ხელის ხლებას ვერავინ გაბედავს. მთავრობა იძულებულია მას ეკონომიურ ნიადაგზე გაუსწორდეს და აქ კი მისი სრული უსუსურობა შეღავნდება: საბჭოთა მრეწველობა ჯერ ხომ საზოგადოთ ვერ სწევდა სოფლის მოთხოვნილებას, მეგრეთიეროკრატიზმს და არევა-დარევის წყალობით იმასაც ვერ აწვდის შეძლებულ გლენს, რაც დაუშვადებია და, ბოლოს, რასაც აწვდის ისიც მომეტებულათ იმდენათ უვარგისი და ძვირია, რომ გლენი არჩევს ხორბალი ბელელში გამოკეტოს და «უკეთეს დროს» უცადოს. ხოლო ხორბლის კამპანიის ჩაფლავება საბჭოებს პირდაპირ კატასტროფით ემუქრება. დაიწყეს «დამნაშავის» ძებნა. ერთხანს ყველაფერს «ჩასტინკს»—კერძო ვაჭარს—აბრალელებენ. საკვირველია: ჯერ იყო და ოპოზიციის გასაბახებლათ დიდის ბრახაბრუხით აცხადებდენ—ჩასტინკი დავამარცხეთ. მისი მნიშვნელობა აღებ-მიცემაში სრულიად უმნიშვნელო დონეზე დაეიყვანეთ. ესლა კი აღმოჩნდა, რომ ეს მოსპობილი ჩასტინკი იმდენათ დიდი ვინმეა, რომ მთელს სახელმწიფოს აპარატს აფერხებს და ამარცხებს. დასცხეს საბრალო კერძო ვაჭარს, მარა ამან, რა თქმა უნდა, გლენი ვერ გასტეხა. და აი, თვით საბჭოთა პრესა აცხადებს—მთელი უბედურება ჩვენი გამანაწილებელ და საქონლის მიმწოდებელ აპარატის ბიუროკრატიზმიაო. ამ აპარატის სწრაფათ ამუშავება ქალაქის წარმოების ინტენსიფიკაციასთან ერთად ცხადდება «დაკვრითი» ამოცანათ. მაგრამ განა შეიძლება ორ-სამ თვეში იმის მიღწევა, რაც მთელი წლების ამოცანა იყო და ასეთივე რჩება! ინდუსტრიალიზაცია და მასთან ერთად მრავალი ასეთი მილიონი, ორი წლის ცდა და ჰანაწყვეტა ჩაფლავდა. საბჭოთა სისტემა დადგა იმავე გამოუცნობ ამოცანის წინაშე, რომელიც წინ ედგა მას 1925 წელს. კამენევის მოსწრებელი სიტყვა კვლავ გამართლდა: ერთხელ კიდევ, გლენმა ერთის დაკვრით დაანგრა სტალინის ეკონომიური ხოხოლა. ცხადია ეს მუდამ განმეორდება, სანამ არ იქნება დაძლეული ძირითადი უკუღმართობა საბჭოთა ეკონომიკისა: კერძო პრინციპი ქვეყნის მთავარ ეკონომიურ დარგ-

ში—სასოფლო მეურნეობაში და სახელმწიფოებრივი მონაპოლია მრეწველობაში და ალემ-მიცემობაში. ამ უკულმართობის ძლევა წარმოსადგენია ორი გზით: ან მთავრობა შეუფარდებს ქალაქის მრეწველობას და ალემ-მიცემობას სასოფლო მეურნეობაში გაბატონებულ კერძო პრინციპს, ე. ი. გააუქმებს «სოცი-ალიზაციას» და მონაპოლიას და მაშინ ბუნებრივად აღსდგება წონასწორობა ეკონომიკის ორ ძირითად დარგთა შორის, ან და გააუქმებს კერძო ინიციატი-ვას, გაბატონებულს სოფლათ, რომელსაც ზურგს უმაგრებს ეკონომიურ განვითარების გარდაუვალი მოთხოვნილება, ძალით, სტიქიურათ მოახდენს სამ შეფარდებას, რაიცა მოასწავებს საბჭოთა რეჟიმის წალეკას.

უცხოეთის პრესაში გამოქვეყნებული უკანასკნე-ლი ცნობებით. თითქმის საბჭოთა მბრძანებელ კლი-კის მემარჯვენე წრეები—რიკოვის მეთაურობით—მო-ითხოვენ პირველი გზისკენ გადახრას. ექვი არაა, ასე-თი სურვილი არსებობს. მარა შესაძლებელია მისი განხორციელება? არა მგონია. სტალინმა თავისი უკა-ნასკნელი შეტევა ოპოზიციასე მოამზადა წინასწარი ზომებით, რომელთაც მიზნათ ჰქონდა უკმაყოფილო მუშათა კლასის და თვით კომპარტიის ზოგიერთ ელემენტების გულის მოგება: 7 საათის სამუშაო დღის, ჩასტნიკთან და კულაკთან ბრძოლის დაპირე-ბა და სხვ. ესლაც, თუ რამდენათ ძლიერია ქალაქის მასებში უკმაყოფილობა, სჩანს იქიდან, რომ კომპარ-ტიის ხელმძღვანელები იძულებული არიან აღუთქვან მათ გლენობის დაბეგვრის მომატება (30 პროც-ითო, გვპირდება უგლანოვი თავის სიტყვაში). სტალინი და მისი ჯგუფი ამგვარ მანიოვრებით სცდილობენ თავისი ბატონობის შენარჩუნებას პარტიაში და რომ მათ მნიშვნელოვანი გადატეხა მოახდინონ კერძო ინიციატივის სასარგებლოთ, საბოლოოთ აუშვან ჩასტნიკი და ნეპმანი, გააუქმონ ვაჭრობის მონაპო-ლია; ამას მოჰყვება ისეთი შინაპარტიული კრიზისი,

რომელსაც რეჟიმი ვერ გადაიტანს. ეს კურსი არა მარტო გააცხოველებს ესლახან თავმოკვეთილ ოპო-ზიციას, არამედ მიჰგვრის მას ახალ-ახალ ფენებს, საბჭოთა ბიუროკრატიის დიდ ნაწილს, რომელიც დღეს ათასგვარ სამრეწველო და სავაჭრო დაწესებუ-ლებებშია მოკალათებული და ამათ პფიციის გა-მაკლის მთავარ დასაყრდნობს. ჩვენ არ ვლაპა-რაკობთ იმაზე, რომ ასეთი რადიკალური ნაბიჯი უდრის თავისთავათ რევოლიუციას, რომელიც აუ-ცილებლათ იმსხვერპლებს დღევანდელ რეჟიმს: მთე-ლი სოციალური და პოლიტიკური «ზედნაშენი» სო-ვეტებისა დაყრდნობილია ეკონომიურ მონაპოლი-ებზე; უკანასკნელის მოსპობა თავდაყირა დააყენებს მთელს სისტემას: თავისუფალი მრეწველობა და ვა-ჭრობა, თავისუფალი მიმოსვლა უცხოეთთან ვერ აიტანს გამეფებულ დესპოტიურ წყობილებას...

ოპოზიციის მიერ ნაკარნახევი გზის დამღუპე-ლობა ხომ თავისთავად ცხადია. ამგვარათ, ბოლშე-ვიზმს გარკვეული პერსპექტივა არც ერთი მხრით არ აქვს; რა მხრითაც არ უნდა გაიქცეს ის, უეჭველათ უნდა წაიქცეს. მას დარჩენია მხოლოდ აქეთ-იქით ბოგინი, პალიატივური ზომები, სტალინის მანიოვ-რები, სანამ არ დააქცევს მას ეკონომიური აუცილე-ბლობა. ეს უკანასკნელი კი გამუდმებით მუშაობს, რაც ერთხელ კიდევ გამოაჩინა დღევანდელმა «ხორ-ბლის კამპანიის» კრიზისმა.

მნიშვნელოვანია, რომ ამ უკანასკნელმა სწორედ სტალინის «ბრწყინვალე» გამარჯვების მეორე დღეს იჩინა თავი მთელის სიმწვავეთ; თითქმის ისტორიულ განგებას უნდოდა გამოეშვარებია «გამარჯვებულ-თა» უმწეობა, აღენიშნა, რომ სტალინის გამარჯვება არის გამარჯვება პოლიციის და არა პოლიტიკის, რომ ნამდვილათ მისი პოლიტიკა ერთხელ კიდევ სა-მარცხენოთ დამარცხდა უღმობელ მსაჯულის, ცხოვრების წინაშე.

X.

უ ც ხ ო ე თ ი ს მ ი მ ო ხ ი ლ ვ ა .

შ ტ რ ე ზ ე მ ა ნ ი , ბ რ ი ა ნ ი .

ახალი წლის საერთაშორისო პოლიტიკური სე-ზონი გახსნეს, როგორც მოსალოდნელი იყო, ორმა საგარეო მინისტრმა, შტრეზემანი და ბრიანმა. პირ-ველათ შტრეზემანმა წარმოთქვა დიდი სიტყვა გერ-მანიის რეისხტაგში და ჩვეულებრივის მოხდენილო-ბით დააყენა კითხვა რენანიის ევაკუაციისა. მან და-იწყო იმით, რომ გერმანია უკვე შევიდა, როგორც სწორუფლებიანი დიდი ფაქტორი საერთაშორისო კონცერტში, და მისი მთავრობა არ აკლებს ცდას საყოველთაო ზავის განსამტკიცებლათ. მაგრამ ამ მხრივ სრულ უზრუნველობას რომ მივალწიოთ, საუი-როა—ამბობს შტრეზემანი—გერმანიის და საფრანგე-თის დაახლოება, ხოლო ამას კი ხელს უშლის ჩვენი ტერიტორიის ერთი ნაწილის ოკუპაციაო. მას შემ-დეგ, რაც ჩვენ ლოკარნოს პაქტს ხელი მოვაწერეთ და ინგლისმა იკისრა დღევანდელი სახლვრების და-ცვა, საფრანგეთს საფუძველი არა აქვს იფიქროს,

რომ მას მოელის ხიფათი განიარაღებულ გერმა-ნიისაგან. განიარაღებულ გერმანიას—განაგრძობს შტრეზემანი—უფლება აქვს, მეორეს მხრით, მოით-ხოვოს, თვით ვერსალის ზავის თანახმათ, საყოველ-თაო განიარაღებაც, და ამისათვის საჭიროა მეტის ენერგიით და მონდომებით მუშაობა ქვენვაშიო. შტრეზემანმა აღნიშნა ის გარემოებაც, რომ ეკონო-მიურ სფეროში უკვე ხდება დაახლოება გერმანია-საფრანგეთ შორის, სავაჭრო ხელშეკრულებაც უკვე დადებულია, მაშასადამე, ამასვე უნდა ვცდილობ-დეთ პოლიტიკურ სფეროშიო, და ეს მით უფრო, რომ ეს ორი ქვეყანა ნამდვილი ღერძია ევროპის წო-ნასწორობისა და მშვიდობიანობისო.

ბრიანის საპასუხო სიტყვა საფრანგეთის სენატ-ში, პირველ შეხვედრით, იმედს უცრუვებდა შტრეზე-მანს და მასთან ერთათ გერმანიის ზომიერ და სოცი-ალისტურ პარტიებს. ბრიანი ამბობდა, რომ ლოკა-რნოს არ გაუუქმებია ვერსალის ზავის არც ერთი

მუხლი და მამასადამე, რენანიის ვეაკუაცია სავალ-  
დებულ არ არის ჩვენთვის, სანამ სათანადო პირო-  
ბები არ დამდგარა. უკანასკნელში ის გულისხმობ-  
და ოკუპაციის ვადას (1935 წ.), საზღვრების დემილი-  
ტარიზაციას და ვალეების გადახდას, თანახმით დოჟ-  
სის გეგმის. მაგრამ ბრიანმა გაიხსენა ტუარში შე-  
ხვედრაც შტრეზემანთან, სადაც ლაპარაკი ყოფილა  
ოკუპაციის ვადაზე მოხსნის შესაძლებლობაზე, თუ  
გერმანია მისცემდა ამისათვის საფრანგეთს შესაფერ  
კომპენსაციას. ჩვენ ყური დაცული არა გვაქვს—ამ-  
ბობდა ბრიანი—მოვისმინოთ გერმანიის წინადადე-  
ბანი და მეგობრულათ ვიბაახოთ. საინტერესოა  
ისიც, ბრიანი «მეგობარს» უწოდებდა თავის კოლე-  
გას შტრეზემანს, რაიცა ერთგვარ. მიღწევად უნდა  
ჩათვალეს ლუქსემბურგის სასახლეში, სადაც, ისე  
როგორც რეისტაგში, ბლომათაა შოვინისტები.

ბრიანმა ხაზგასმით აღიარა, რომ 1928 წ. მოწმე  
იქნება დიდმნიშვნელოვან მოლაპარაკებათა და შედე-  
გების საერთაშორისო ასპარეზზე. ამ რიგით, მოლა-  
პარაკება და შედეგიც უნდა შეეხოს სწორეთ იმ კით-  
ხვებს, რომელიც წევით ვახსენეთ: თავის თავთ ცხა-  
დია, ეს არ მოხდება: საპარლამენტო არჩევნების მო-  
თვებამდე როგორც საფრანგეთში, ისე გერმანიაში,  
მომავალ ვახაფხულს.


დოვგალევსკი.

საბჭოთა წვრილფეხა ელჩი დოვგალევსკი (ბედა-  
ური დაიხოცნენ...) ქვეყნიერების მეორე კიდიდან—  
ტოკიოდან ჩამორიხნდა სწორეთ იმისათვის, რომ  
მოლაპარაკება დაეწყო და კიდევ უფრო შედეგი—  
იგულისხმეთ კრედიტი—მიეღო. ბრიანმა ვაცა მოკ-  
ლე პასუხი, მაგრამ არა დოვგალევსკის, არამედ სენა-  
ტორ ეპის: მწყრალ შეკითხვას, როდის მოეღება  
ბოლო—ეკითხებოდა სენატორი საგარეო მინისტრს  
—იმ კომედიას, რომელიც საფრანგეთის მთავრობამ  
დაიწყო კიდევ 1924 წ., როცა მან იცნო მოსკოვი და  
მოლაპარაკება გამართა მასთან. შემკითხველმა აღ-  
ნუსხა მოსკოვის დანაშაულობანი კაცობრიობის და  
თვით რუსეთის წინაშე, მისი კრიმანულები ვალის  
და კრედიტის შესახებ და მოითხოვდა მის დამრღვევ  
მუშაობის შესაწყვეტათ ცნობის გაბათილებას და  
დოვგალევსკის უკან გასტუმრებას: ბრიანის პასუხი  
არ იყო ასეთივე მკაცრი და ეს აიხსნებოდა იმავე არ-  
ჩევნების მოახლოებით, რომლის დროს მოსკოვთან  
დამოკიდებულების კითხვა უეჭველათ დიდ როლს  
ითამაშებს. რუსეთი დიდი ქვეყანაა—ამბობდა ბრი-  
ანი—, მასთან დამოკიდებულების გაწყვეტა არაა ხელ-  
საყრელი; მან ასი ათასები ჯარის-კაცთა შესწირა სა-  
ერთო საქმეს ომის დროს, ვიმედოვნებ მასთან მო-  
ლაპარაკება კარგათ დამთავრდებოდა. იმავე დროს  
ბრიანმა დაარიგა დოვგალევსკი, რომ ის არ უნდა  
ვაპყვეს რაკოვსკის კვალს და «ტაქტი» არ უნდა დაი-  
ვიწყოს დიპლომატიურ დამოკიდებულებაში; და  
რაც ყველაზე აუცილებელია,—ხელი უნდა აიღო  
ჩვენი შინაურ საქმეებში ჩარევაზე. ბრიანი განაგრ-  
ძობს, ამ რიგით, მგლის თავზედ სახარების კითხვას  
და თან ურჩევს თავის მეგობარს შტრეზემანს მიაქ-  
ციოს ყურადღება მოსკოვის ორ-მილიონიან ჯარს,

რომელიც, რა თქმა უნდა, მშვიდობიანობას არ ემ-  
სახურება.

არბიტრაჟი.

ნ თებერვალს ვაშინგტონში ხელი მოაწერეს სა-  
ფრანგეთმა და შვეიცარიულმა შტატებმა პირობას,  
რომ ისინი ამერიიდან ყოველ დავას მათ შორის,  
როცა დიპლომატიური მოლაპარაკება არ გასჭრის,  
არბიტრაჟს გადასცემენ. ხსენებულ ორ სახელმწი-  
ფოს შორის ომს არასდროს არ ჰქონია ადგილი და  
არც მომავალში მოელიან მას, მაგრამ შეთანხმებას  
მინც დიდი პრინციპიალური მნიშვნელობა აქვს,  
რადგან ამით ახალ მეთოდს—არბიტრაჟს ერთგვარი  
საერთაშორისო დასტური ეძლევა. იმავე საფრანგე-  
თის და ამერიკის თაოსნობით უკვე დაწყებულია  
მოლაპარაკება ომის «კანონ გარეშე» გამოსაცხადებ-  
ლათ მთელი მსოფლიოს მასშტაბში, და აქაც, რა  
თქმა უნდა, იგივე არბიტრაჟი დაიჭერს პირველ ად-  
გილს.



რას სწერენ ბელშევიკებზე.

«ბერლ. ტაგებ.»-ის მოსკოველი კორესპოდენტი  
შეფფერი ასე ახასიათებს რუსეთის აწინდელ ვითა-  
რებას თავის უკანასკნელ წერილში: «რუსეთის დღე-  
ვანდელი ეკონომიური კრიზისის საფუძველი სასო-  
ფლო მეურნეობის მდგომარეობაშია. თვითონ რი-  
კოვმა აღიარა, რომ დღეს ევროპის რუსეთის ფარ-  
გლებში ითესება ხუთი მილ. დესეტინით ნაკლები,  
ვიდრე 1916 წელში. დღეს გლეხები აძლევენ ქალაქს  
35 პროც. ნაკლებს ხორბალს და სხვა ნაწარმოებს,  
ვიდრე ომამდე. ამასთან დაკავშირებულია უცხოეთში  
ცის საქმე. ომამდე რუსეთს ვაჭკონდა უცხოეთში  
12 მილ. ტონი პური, შარშან გამოიტანა 3 მილ. ტო-  
ნი, წელს კი ერთი მილიონი ან შეიძლება მარტო  
600.000 ტონი. გლეხობის თანაგრძობის მოუპოვებ-  
ლად შეუძლებელია ეკონომიური კრიზისის დაძლევა.  
ამისთვის კი საჭიროა სეროზული დათმობები მარ-  
თველი კლასის მხრივ. საბჭოთა მთავრობას ესაჭი-  
როება სესხი. მაგრამ ამის მოსაპოვებლად მოსკოვმა  
უნდა მიიღოს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი.  
ქვეყანა ელის ამ გადაწყვეტილებებს».

უცხოეთის გაზეთებში დაიბეჭდა ა. კახანის წე-  
რილები საბჭოთა ცხოვრების შესახებ. კახანი ჩამო-  
მავლობით რუსის ებრაელია, ალექსანდრე მესამის  
დროს გადასახლდა ამერიკაში და იქ დღეს ხელმძღვა-  
ნელობს ყოველდღიურ ებრაულ სოციალისტურ გა-  
ზეთს. იგი შარშან გაემგზავრა რუსეთში, სამს თვეს  
დაჰყო იქ, დაწვრილებით შეისწავლა იქაურობა და  
ახლა აქვეყნებს ნახულს. გავაცნობთ ჩვენს მკითხველს  
წოგიერთს მის შთაბეჭდილებას: რუსეთის მთელს  
ცხოვრებას ნაღველის ბეჭედი აწის. ყველას ფიქრი  
მარტო ერთი მიზნისკენა მიმართული—საქმელი  
იშოვნოს. ამავე დროს ყოველი ნაწარმოების საშინე-  
ლი ნაკლებობაა. ფურნებთან და მალაჩიებთან დაუ-  
სრულებელი რიგები დგანან. მე ვიკითხებ, რამდენი  
ფული სჭირდება მუშას ოჯახის შესანახად. მიპასუ-



ხეს: დღეში ორი მანეთი. ვუთხარი: ალბად ამაში შედის ტანისამოსის და ფეხსაცმელის ხარჯიც თქვა. გაიკვირვებს: აბა, რას ლაპარაკობთ: ორი მანათი საკმაო მარტო იმისთვის, რომ სიმშლით არ დავიხლოცნეთ. დღევანდელი მანათი ომის წინანდელ 30 კაპ. უდრის. ტანსაცმელს, რომელიც ნიუიორკში ღირს 30-35 დოლ., მოსკოვში ვერ იყიდით 240 მანეთად (120 დოლარ.). ამიტომ, რომ ყველას ღირებდა აცვია. საშუალო ქირა ოჯახისთვის უდრის 80 მანეთს (ომის წინა დროის 24 მან.). რასაკვირველია ეს ფული არ გაწვდება ტანისამოსსაც. საქმელ-სასმელისთვის ძლივს ჰყოფნით. ამას მიუმატებ შიში ადგილის დაკარგვისა, რადგან მუდამ ამცირებენ ქარხნებში მუშების რიცხვს. უმუშევართა რიცხვი ძლიერ დიდია და დღით დღე მატულობს. მარტო სოფელი ნახევარ მილიონ უმუშევარს უზავინის ქალაქს ყოველ წლიურად.

ინგლისური გავლენიანი ფინანსური გაზეთი Fin. Times ასე ახასიათებს რუსეთის დღევანდელ მდგომარეობას: სახელმწიფო მრეწველობა და რკინის გზები მუშაობენ ზარალით და ყოველწლიურად მოითხოვენ ხაზინის დახმარებას ერთ მილიარდ მანეთამდე. ბიუჯეტებსა და ანგარიშებში ეს გარემოება დაფარულია, რადგან დახმარებას აძლევენ სესხის ავანსის სახით ახალ შენობების ასაგებად, უკეთ მოწყობისათვის, სათადარიგო გზების გასაყვანად და კაპიტალურ რემონტისათვის. მაგრამ ნამდვილად ყველაფერ ამაზე იხარჯება სულ მცირე ნაწილი მიღებულ ფულისა, მეტს წილს კი ხარჯავენ მუშებისთვის ჯამაგირის მისაღებად და წარმოების ზარალის დასაფარავად. ასე რომ ეკონომიურ ღირებულებას ჰქმნიან მხოლოდ მეურნე გლეხები, რომელთაც ბოლოს აწევბა მთელი სიმძიმე გადასახადებისა. მთელი ფინანსური სისტემა საბჭოებისა იმაში მდგომარეობს, რომ მოქალაქეებს დაუტოვოს სულ მცირე მინიმუმი მათი შემოსავლისა და დანარჩენი კი წაიღოს ხაზინისთვის პირდაპირის თუ არაპირდაპირის გადასახადების შემწევობით. რუსეთის მოსახლეობის ყიდვის შესაძლებლობა 1926 წ. უდრიდა 8 მილიარდს, ხოლო გადასახადები შეადგენდა 2130 მილიონს; რუსის ხალხი თავის შემოსავლიდან იხდის ერთ მეოთხედზე მეტს გადასახადისთვის. გადასახადების ასეთი სიმძიმე არ იცის დედამიწის არც ერთმა სახელმწიფომ. სახელმწიფო მეურნეობაში მოგებას იძლევა მარტო ნაფთის ექსპორტი და არაყის მონოპოლია. ხორბლის, ტყის ნაწარმოების და სხ. ექსპორტი მეტად ძვირად უჯდება რუსეთს და აქ სარგებლობა მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ საბჭოთა მთავრობა ნაცვლად უფარგისი რუსული ვალიუტისა იღებს მტკიცე უცხო ვალიუტას. რუსეთის ფაბრიკები და ქარხნები ვერ აკმაყოფილებენ ბაზრის მოთხოვნილებას და საკმაო ვერ აწვდიან ხალხს თავის უფარგის საქონელს. მაღაზიებთან განუწყვეტელი რიგები. რუსეთის მრეწველობის აღდგენა და განვითარება შეიძლება მხოლოდ დიდი თანხების დახმარებით.

უცხოელები საქართველოში შესახებ.

1. საფრანგეთ-პოლონეთის დეპუტატთა კავშირის ბიულეტენებში დაიბეჭდა და შემდეგ ფრანგულ გაზეთებში მოთავსებული იყო ფრანგ დეპუტატის და ქ.ბორდოს მერის Marquet-ის წერილი საქართველოს შესახებ. ავტორი აღნიშნავს დამოუკიდებლობის აღდგენას, თავისუფალს არსებობას, რუსეთის მიერ საქართველოს ცნობას და მერე ვერაგულად თავდასხმას, რომელმაც მთელი ქვეყნის აღშფოთება გამოიწვიაო. გაიხსენებს აგვისტოს ხალხურ აჯანყებას, რომელიც სისხლში ჩაახჩო მოსკოვმა და ისევ დამყარა «წესიერება» საქართველოშიო. «მაგრამ—ამბობს მარკე: ამ ძალმომრეობას, რომელმაც გათელა სინდისის ყოველი უფლება, არასოდეს შეუძლია საქართველოს საკითხის მოწესრიგება. დღეს უფრო, ვიდრე როდისმე, ეს საკითხი იპყრობს ჩვენს ყურადღებას და ვიტყვით იმასაც, რომ იგი არ ყოფილა არასოდეს ასე ცხოველი, როგორც ამ ყამდაა. საბჭოთა ფარგალში ძალით მომწყვედულ ერების საკითხი დღეს ლებულობს დიდს მნიშვნელობას. კერძოდ კავკასიის ერები არ კარგავენ შემთხვევას, რომ აუწყონ მთელ სოფლიოს თავისი შეურყეველი მისწრაფება, გამოეყონ საბჭოთა კავშირს, როგორც კი გარემოება ნებას მისცემს. მათ ერთა თვითგამორკვევის პრინციპის პრაქტიკულ განხორციელებისათვის. ეს ერები თავის ისტორიულს წარსულით და ცივილიზაციით სავსებით განსხვავდებიან რუსებისაგან და ისინი არასოდეს შეურიგდებიან დღევანდელ მდგომარეობას. და მათ სამართლიანად სწამთ, რომ მათ მისწრაფებას თანაგრძნობით უზღვედა ყველა თავისუფალი ერი და ყველა ადამიანი, ვისაც გული აქვს».

2. ბელგიურ გაზეთის Le soir-ის 9 თებერვლის ნომერში დაბეჭდილი იყო წერილი დღევანდელ საქართველოზე ალბერტ ვალენტინისა, რომელიც გასული წლის დეკემბერში ყოფილა ტფილისში. ავტორი დიდს პატივისცემით და თანაგრძნობით იხსენიებს ქართველ ხალხს. «საქართველოში—ამბობს იგი—საკმარისია მიმოიხედოთ ირგვლივ, რომ დანიახოთ ყოველ ნაბიჯზე უტყუარი საბუთები მთელი მსოფლიოს ერთი უძველეს და უშესანიშნავეს ცივილიზაციისა, რომელიც ვერაფერმა შეასუსტა, ვერც განვლილმა საუკუნოებმა, ვერც ისტორიულმა ცვალებადობამ. გაივლით თუ არა ამ მშვენიერ მიწაზე, მაშინვე შეამჩნევთ, თუ როგორ ძლიერ უყვართ მის მკვიდრთ თავისი სამშობლო და როგორ ცხარედ სწადიან მისი დამოუკიდებლობა. ქართველებს უსაყვედურებენ ნაციონალისტურ მიდრეკილებას, რომელიც მათ ასულდგმულებს; მაგრამ მათ აქვთ ამის გასამართლებლად ღრმა საფუძვლები, რომლებიც სრულიად უნდა განვიზიაროთ». ვალენტინი მოხიბლულია ტფილისის ბუნებით და ნახული სახეებით. საქართველოში სცხოვრობს ხალხი, რომელსაც ულამაზესად სთვლიან მთელ დედამიწაზე. ასეთი სახელი ჩვენს ავტორს დამსახურებულად მიაჩნია. დიდად მოსწონს მამაკაცების სწორი სახის მეტყველება, ამაყი და მამაცური. «რა ვსტყვა ქალებზე—სწერს—, რო-



მლებიც ღვთაების ნამდვილ განსახიერებას წარმოადგენენ თავის ფიზიკურის სისრულით? მათი წმინდა მოხაზულობანი, გრაციით აღსავსე მიმოხვრა, ბუნებრივი ღირსება ასე გაფიქრებინებთ, თითქოს სხვა პლანეტაზე იყოთ». ბელგიელი მწერალი ესწრება ოპერის წარმოდგენას და აქ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მათგან მათგან გამომეტყველებას, რომელიც ლეგენდარულ გმირებს მოაგონებს. გაკვირვებით აღნიშნავს ქართველი ერის სიმტკიცეს და გამძლეობას. მისი აზრით ეს სწორედ სასწაულია, რომ მიუხედავად იმდენი უცხო გაგლენისა, იმდენი თავდასხმისა საქართველომ შესძლო არა თუ დაცვა, არამედ გაძლიერება მამაპაპური გმირული, კეთილშობილი, მკაცრი ღირსებებისა».

«დაძლევიდებელი საქართველო»

ხელისმომწერთათვის ღირს საფრანგეთში ერთის წლით 30 ფრ., ნახევარი წლით 15 ფრ. სხვა ქვეყნებში—ერთის წლით 40 ფრ., ნახევარი წლ. 20 ფრ. ცალკე ნომერი 3 ფრ.

ინჟინერი ვ. სვიმონიშვილი.

კალიფორნიის გაზეთებში მოთავსებულია ვრცელი მოხსენება, რომელიც გაუკეთებია მრავალრიცხოვან კრების წინაშე ჩვენს თანამემამულეს ინჟინერ სვიმონიშვილს რუსეთზე და განსაკუთრებით საქართველოზე. ასწერს რა მოკლეთ თვითეულ ამ ქვეყნის ისტორიულ წარსულს და აწმყოს. მომხსენებელი ასკვნის, რომ მათი სახელმწიფოებრივი გაყრა ბუნებრივის აუცილებლობით გამომდინარეობდა რევოლუციისა და სამოქალაქო ომის მიერ შექმნილ მდგომარეობიდან. მომხსენებელი აღნიშნავს ქართველ მოღვაწეთა უნარს და ენერგიას ნორჩ რესპუბლიკის ხელისუფლების შექმნის საქმეში და სრულიად უდალთ თვლის საქართველოს მსგავსებას ამ მხრივ დაწინაურებულ ქვეყნებთან. მომხსენებელს არ რჩება განუხილავი საქართველოს ეკონომიური შესაძლებლობანიც და მოჰყავს ამისათვის მრავალი საბუთი. არის აღნუსხული ქართველ ერის შემოქმედების ნიმუშები სხვადასხვა დარგში და ისიც, რომ ეს პროცესი დღეს თითქმის მთლათ შეჩერებულია ბარბაროს-მტრის წყალობით. ბუნებისა და ხალხის სილამაზეს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მოხსენებაში.

მოხსენებას კარგი შთაბეჭდილება მოუხდენია დამსწრეებზე და რეპორტერებიც ირწმუნებიან, რომ მხგავსი დასაბუთებული გამოსვლა სასარგებლოა არა მარტო ქართველებისთვის, არამედ ამერიკელებისათვისაც. ბ. სვიმონიშვილს სწავლა ამერიკაში აქვს მიღებული და მუშაობს იქ ნავთის ამოღების დარგში. მიუხედავად მოუცლევლობისა და სამშობლოსთან დაშორებისა, ის არ უშვებს არც ერთ მოხდენილ შემთხვევას, მიაწოდოს ამერიკელებს სწორი ცნობები ჩვენი ქვეყნის შესახებ. მის აუდიტორიას ხშირათ მარტო მუშები შეადგენენ.

უკრაინა.

ბოლშევიკები არწმუნებენ ყველას, რომ უკრაინის სამართველო აპარატი სრულიად გაუკრაინებულია და დღეს აღარ შეიძლება ისე ვუყუროთ უკრაინის მთავრობას, როგორც უცხოს, გარედან თავზე მოხვეულს. გაეროვნების ცდები სხვადასხვა მეორეხარისხოვან დარგში არაა ძნელი. მაგრამ უკრაინელ ჯარის გაეროვნების საქმეს არაფერი წარმატება არ ეტყობა, და ეს ცხად ჰყოფს, თუ რამდენად გულწრფელი არაა ბოლშევიკების ეროვნული პოლიტიკა. აი რას სწერს თვითონ ბოლშევიკური გაზეთი «პროლ. პრავდა»: «კომუნისტური პარტიის ორგანოები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ უკრაინიზაციას. საუცხოვო რეზოლუციები გამოაქვთ, მაგრამ არც ერთს თავის განცხადებას არ ახორციელებენ საქმით. უკრაინის ჯარის გაეროვნებას უმთავრესად ის აბრკოლებს, რომ აფიცრობამ უკრაინული ენა არ იცის.»

— 1927-28 წლები ბოლშევიკური წლისთავებია: ათი წელი ბატონობისა, ათი წელი ჩეკისა. ხოლო დიდის ამბით გადახდილ იუბილეების დროს მეტად სადათ იდღესასწაულეს ბოლშევიკებმა ათი წელი იმ ულტიმატუმისა, რომელიც გაუგზავნა მოსკოვის სახალხო კომისართა საბჭომ უკრაინის რესპუბლიკას. ეს იყო 1917 წელს. ულტიმატუმი სცნობდა უკრაინის დემოკრატი. რესპუბლიკას, მაგრამ ამავე დროს მწარედ უსაყვედურებდა, რომ არ შემოიღო საბჭოთა მართველობა. სახალხო კომისრები მოითხოვდნენ, რომ უკრაინის მთავრობას ხელი არ ეხლო იმ წითელ ბანდებისთვის, რომლებიც სძარცვავდნენ უკრაინას და გაეშვა თავის ტერიტორიაზე ბოლშევიკური ჯარები დონის დასაპყრობად. წაყენებული იყო სხვა თავხედური მოთხოვნილებანი, რომელთა შესრულებზე უკრაინის მთავრობამ უარი განაცხადა. ამას მოჰყვა წითელ არმიის შესევა უკრაინაში, უკრაინის დაპყრობა.

ტფილისის უნივერსიტეტის დღესასწაული.

კვირას, თებერვლის 19-ს ნაშუადღევის 3 საათზე 70 rue Jouffroy—დარბაზში გაიმართება საღვთისაწაული დილა ტფილისის უნივერსიტეტის ათი წლის თავის აღსანიშნავად. წარმოსთქვამენ სიტყვებს საქართველოს ელჩი ა. ჩხენკელი, პროფ. ე. თაყაიშვილი, ბ. შვეალიე, ყოფილი უმაღ. კომის. კავკასიაში, მის. ხუნდაძე და ვ. ლამბაშიძე. შესრულებული იქნება მუსიკალური ნომრები ორკესტრის მიერ.

Rédaction et Administration.

M. J. GOBETCHIA

7, rue de Ponthieu, 7. Paris.